სახელმწიფო
ინსპექტორის
სამსახური

ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესი

რეკომენდაცია

2021

სარჩევი

I. შესავალი 4

II. ტერმინთა განმარტება 6

III. ევროპის ქვეყნების პრაქტიკა 8

IV. ვიდეოთვალთვალი ქუჩაში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში 10

1. ვიდეოთვალთვალის მიზნები 12

2. ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი 13

3. ვიდეოთვალთვალის განხორციელება უფლებამოსილი პირის მეშვეობით 15

4. ვიდეოჩანაწერების შენახვა 17

5. ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოება 18

6. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გამჟღავნება 19

7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები 22

V. ვიდეოთვალთვალი საჯარო და კერძო დაწესებულებებში 23

1. ვიდეოთვალთვალის მიზნები 26

2. ვიდეოთვალთვალის შესახებ გაფრთხილება 27

3. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი 28

4. გამოსაცვლელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი სივრცეების ვიდეოთვალთვალი 30

5. ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით აუდიომონიტორინგი 31

6. ვიდეოთვალთვალი უფლებამოსილი პირის მეშვეობით 32

7. ვიდეოჩანაწერების შენახვა 34

8. ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოება 35

9. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გამჟღავნება 36

10. მონაცემთა სუბიექტის უფლებები 39

VI. ვიდეოთვალთვალი სამართალდამცავი ორგანოების მიერ 39

1.ე. წ. „ჭკვიანი კამერების“ საშუალებით ვიდეოთვალთვალი 40

1.1.ვიდეოთვალთვალის მიზნები 43

1.2.ვიდეოთვალთვალის შესახებ გაფრთხილება 43

1.3.მონაცემთა სუბიექტის უფლებები 44

2.სამხრე კამერის საშუალებით ვიდეოგადაღება 45

2.1.ვიდეოთვალთვალის მიზნები 47

2.2.სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების შესახებ გაფრთხილება 47

2.3.მონაცემთა სუბიექტის უფლებები 48

3.ვიდეოთვალთვალი უკონტაქტო პატრულირებისას 48

3.1.ვიდეოთვალთვალის მიზანი 50
3.2.უკონტაქტო პატრულირებისას მონაცემთა დამუშავების შესახებ გაფრთხილება 51
3.3.მონაცემთა სუბიექტის უფლებები 51
4.ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში ვიდეოთვალთვალი 52
4.1.ფარული ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის მიზანი 54
4.2.მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება 54
5.ვიდეოჩანაწერების შენახვა 55
6.ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოება 56
7. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გამჟღავნება 58
VI. ვიდეოთვალთვალი საცხოვრებელ შენობაში 61
1.ვიდეოთვალთვალის მიზნები და დასაშვები შემთხვევები 63
2.ვიდეოთვალთვალის შესახებ გაფრთხილება 64
3. ვიდეოთვალთვალი უფლებამოსილი პირის მეშვეობით 66
4. ვიდეოჩანაწერების შენახვა 68
5. ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოება 68
6. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გამჟღავნება 69
7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები 71
დანართი №1 73
დასაქმებულის ინფორმირება სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მისი უფლებების შესახებ 73
დანართი №2 74
საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის შესახებ შენობის მესაკუთრის თანხმობა 74
დანართი №3 75
გაფრთხილება საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ 75

I. შესავალი

ვიდეოთვალთვალი პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა, რომელსაც საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში იყენებენ.

თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში ვიდეოთვალთვალის სისტემები, მათი მრავალფეროვანი ფუნქციების გათვალისწინებით, დიდი მოცულობით და სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემების დამუშავების (მოპოვების, ჩაწერის, შენახვის) შესაძლებლობას იძლევა.

ვიდეოსათვალთვალო კამერების უმეტესობას აქვს პირდაპირ რეჟიმში დაკვირვების, ღამის ხედვის, მანევრირების, შორი მანძილიდან დაკვირვების, დეტალების (მათ შორის, ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველი) აღმოჩენის, აუდიოჩაწერის, ასევე, ადამიანის უნიკალური მახასიათებლების (მაგალითად, სახის) ამოცნობის, მათი ქცევის შესწავლისა და გაანალიზების საშუალება. ვიდეოთვალთვალის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის რეგულარული და სისტემური მონიტორინგი, რაც პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საფრთხეებს წარმოშობს.

დაკვირვების გარეშე გადაადგილება და საკუთარი ქცევებისა და მახასიათებლების კონფიდენციალობის დაცვა პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, აუცილებელია, ვიდეოთვალთვალის სისტემები და მათი ფუნქციონირებისას მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, ვიდეოჩანაწერის შენახვისთვის განსაზღვრული ვადა, ვიდეოჩანაწერის გამოყენების ფორმები და ვიდეოჩანაწერზე აღბეჭდილი პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები სრულად შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

საჯარო და კერძო დაწესებულებების, ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ ვიდეოთვალთვალზე ზედამხედველობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. 2018-2020 წლებში სამსახურმა სახელმწიფო სტრუქტურებში და კერძო დაწესებულებებში (მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოებში, უნივერსიტეტებში, სკოლებში, ბაღებში, სავაჭრო ცენტრებსა და ობიექტებში, სამედიცინო დაწესებულებებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსებში, რესტორნებში, სასტუმროებში), სხვა კერძო თუ საჯარო სივრცეებში (მათ შორის, ქუჩებში) და საცხოვრებელ შენობებში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის 100-ზე მეტი შემთხვევა შეისწავლა. შესწავლილი პროცესების 80%-ზე დადგინდა მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების ფაქტი, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. გამოვლენილი დარღვევები და ნაკლოვანებები უმეტესწილად უკავშირდება ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებას, ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ დასაქმებულთა ინფორმირებას, ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადას, მოპოვებული ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოებას, მესამე პირთათვის მათ ხელმისაწვდომობას და გამჟღავნებას.

ამ სფეროში იდენტიფიცირებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაცია, რომლის მიზანია ვიდეოთვალთვალის პროცესების შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების/ნაკლოვანებების პრევენცია, ასევე იმ კერძო და საჯარო დაწესებულებების (მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების), ფიზიკური პირების დახმარება, რომლებიც ვიდეოთვალთვალს სხვადასხვა მიზნით ახორციელებენ. რეკომენდაციაში ცალ-ცალკეა განხილული ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საჯარო უწყებებში, კერძო დაწესებულებებში, საცხოვრებელ შენობებში ვიდეოთვალთვალის დროს გასათვალისწინებელი წესები.

რეკომენდაცია ეფუძნება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, ევროპულ სტანდარტებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საუკეთესო პრაქტიკას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური იმედოვნებს, რომ მოცემული რეკომენდაცია ხელს შეუწყოს ქვეყანაში ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემას.

II. ტერმინთა განმარტება

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი განმარტება:

პერსონალური მონაცემი (შემდგომში - მონაცემები) - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

მონაცემთა დამუშავება - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ვიდეოჩაწერა.

ვიდეოთვალთვალი - საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეომონიტორინგი (მონაცემების რეალურ დროში დამუშავების რეჟიმი) ან/და ვიდეოჩაწერა (მონაცემების ჩანაწერის შექმნის გზით დამუშავების რეჟიმი).

ვიდეოსათვალთვალო სისტემა - სივრცის ვიზუალური მონიტორინგისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა.

აუდიომონიტორინგი - საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხმოვანი სიგნალის მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, აუდიოკონტროლი (მონაცემების რეალურ დროში დამუშავების რეჟიმი) ან/და აუდიოჩაწერა (მონაცემების ჩანაწერის შექმნის გზით დამუშავების რეჟიმი).

მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება.

მონაცემთა დამმუშავებელი/ვიდეოთვალთვალის განმახორციელებლი დაწესებულება - საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

უფლებამოსილი პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამუშავებს მონაცემებს მონაცემთა დამმუშავებლისათვის ან მისი სახელით.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი - ქუჩა, სკვერი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი - მგზავრების ჯგუფის გადასაყვანი საშუალება, რომელიც ჩვეულებრივ, საყოველთაოდაა ხელმისაწვდომი გადაადგილების ნებისმიერი

მსურველისთვის, მოძრაობს წინასწარ განსაზღვრული დროის განრიგითა და დაგეგმილი მარშრუტით.

საცხოვრებელი შენობა - შენობა-ნაგებობა, რომელიც თავისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე განკუთვნილია ფიზიკური პირების საცხოვრებლად. საცხოვრებელი შენობა შეიძლება იყოს როგორც თანასაკუთრებაში არსებული მრავალბინიანი უძრავი ქონება, ასევე ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართი.

სამუშაო ადგილი - საჯარო ან/და კერძო დაწესებულების სივრცე, სადაც დაწესებულებაში დასაქმებული პირები უშუალოდ ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას (მაგალითად, სამუშაო ოთახი, საპროცედურო ოთახი, სალარო).

III. ევროპის ქვეყნების პრაქტიკა

ევროპის ქვეყნების უმეტესობაში ვიდეოსათვალთვალო სისტემების გამოყენება საკმაოდ ხშირია (მაგალითად, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში 2020 წლის მდგომარეობით ვიდეოსათვალთვალო კამერების საერთო რაოდენობა 5.2 მილიონს შეადგენდა, რაც თითოეულ 13 მოქალაქეზე 1 ვიდეოკამერას გულისხმობს [1]), თუმცა ისინი მკაცრად აკონტროლებენ ვიდეოთვალთვალის კანონიერებას, რაც მათი უკანონო გამოყენების რისკებს მაქსიმალურად აზღვევს. მაგალითად, ბელგიის სამეფომ (2007 წლიდან)[2], დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებულმა სამეფომ (2013 წლიდან)[3], საფრანგეთის რესპუბლიკამ (1995 წლიდან)[4] მიიღეს სპეციალური რეგულაციები ვიდეოთვალთვალის სისტემების გამოყენების შესახებ. აღნიშნულ ქვეყნებში არსებული მკაცრი რეგულაციების თანახმად, ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამოყენებისას ადამიანის უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ვიდეოთვალთვალი დასაშვებია სპეციალური ნებართვით, ხოლო ვიდეოსათვალთვალო სისტემების კანონშესაბამისად გამოყენებას ზედამხედველობს კონკრეტული თანამდებობის პირი.

საფრანგეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით აწესებს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: ვიდეოსათვალთვალო სისტემას უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების ადეკვატური მექანიზმები, განსაკურებით, საზოგადოებრივ სივრცეში მონიტორინგის განხორციელებისას; საზოგადოებრივ სივრცეში ვიდეოსათვალთვალო მოწყობილობები უნდა დამონტაჟდეს ისე, რომ კამერის ხედვის არეალში არ მოხვდეს საცხოვრებელი სახლი, მისი შესასვლელი, შიდა სივრცე; მონაცემთა სუბიექტისთვის მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ცნობილი, რომ მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი. აღსანიშნავია ისიც, რომ საფრანგეთის რესპუბლიკაში ვიდეოსათვალთალო სისტემის დამონტაჟება ექვემდებარება პრეფექტის ნებართვას.[5]

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში მოქმედებს სპეციალური რეგულაცია ვიდეოთვალთვალის თაობაზე (Surveillance Camera Code of Practice - SC Code)[6], რომლის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სამეთვალყურეო კამერის კომისარი (The Surveillance Camera Commissioner). კომისარს უფლება აქვს შეამოწმოს ვიდეოსათვალთვალო კამერების/სისტემების (CCTV) კანონმდებლობასთან

---

[1] https://www.cctv.co.uk/number-of-cctv-cameras-in-the-uk-reaches-5-2-million/ *(გადამოწმებულია 29.09.2021)*

[2] *ვიდეოსათვალთვალო კამერების თაობაზე აქტი, Surveillance camera act, 21/03/2007.*

[3] *ვიდეოთვალთვალის განხორციელების მარეგულირებელი კოდექსი, იხ.:* https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/282774/SurveillanceCameraCodePractice.pdf *(გადამოწმებულია 29.09.2021)*

[4] *1995 წლის N° 95-73 კანონი და 1996 წლის N° 96-926 განკარგულება/Law N° 95-73, 21/01/1995, by law N° 96-926, 17/10/1996.*

[5] *„საჯარო დაწესებულებების მიერ ვიდეოთვალთვალი საჯარო სივრცეში და ადამიანის უფლებების დაცვა“, ვენეციის კომისია, 23/03/2007; Law N° 95-73, 21/01/1995, by law N° 96-926, 17/10/1996.*

[6] *ვიდეოთვალთვალის განხორციელების მარეგულირებელი კოდექსი, იხ.:* https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/282774/SurveillanceCameraCodePractice.pdf *(გადამოწმებულია 20.10.2021)*

შესაბამისობა და გასცეს შესაბამისობის სერტიფიკატი. სერტიფიცირება ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს დაადასტურონ, რომ ისინი აკმაყოფილებენ ვიდეოთვალთვალის განხორციელების მარეგულირებელ კოდექსს და რომ ისინი იყენებენ თავიანთ სამეთვალყურეო კამერების სისტემებს გამჭვირვალედ, ეფექტიანად და პროპორციულად.[7] საჯარო სივრცეში ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამოყენება დასაშვებია, თუ სახეზეა: ლეგიტიმური მიზანი, გადაუდებელი საჭიროება/აუცილებლობა, პროპორციულობა და სხვა რელევანტურ სამართლებრივ ვალდებულებებთან შესაბამისობა. ამასთან, კერძო სექტორში ვიდეოთვლთვალის განხორციელებისას, დამმუშავებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ვიდეოთვალთვალი პროპორციულია და არ წარმოადგენს ადამიანის უფლებებში უხეშ ჩარევას.

ბელგიის სამეფოში ვიდეოსათვალთვალო კამერების საჯარო სივრცეებში დამონტაჟება ნებადართულია მხოლოდ ადგილობრივი ან ქალაქის საბჭოს ნებართვით. ასევე, კამერების დამონტაჟებისას, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ადგილობრივი პოლიციის უფროსს. საჯარო სივრცეში ვიდეოთვალთვალი დაშვებულია შემდეგი მიზნებით: დანაშაულის პრევენცია ან გამოვლენა, დაუმორჩილებლობის აღკვეთა და პრევენცია, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება. ხოლო სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი დაშვებულია შემდეგი მიზნებით: ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, კომპანიის საკუთრების დაცვა, წარმოების/მუშაობის პროცესის კონტროლი და დასაქმებულთა მუშაობის მონიტორინგი. ამასთან, დამსაქმებლის ვალდებულებაა, ნათლად და მკაფიოდ განუმარტოს დასაქმებულებს ვიდეოთვალთვალის მიზნები.[8]

[7] https://www.gov.uk/government/publications/surveillance-camera-code-of-practice-third-party-certification-scheme (გადამოწმებულია 20.10.2021)
[8] https://iclg.com/practice-areas/data-protection-laws-and-regulations/belgium (გადამოწმებულია 22.10.2021)

IV. ვიდეოთვალთვალი ქუჩაში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში

კანონმდებლობით ნებადართულია ქუჩაში (მათ შორის, პარკში, სკვერში, სათამაშო მოედანზე), საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასა და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში ვიდეოთვალთვალი დანაშაულის თავიდან აცილების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულ საჯარო ადგილებში ადამიანები გადაადგილდებიან და თავს იყრიან მეგობრებთან, კოლეგებთან თუ ოჯახის წევრებთან (მათ შორის, არასრულწლოვან პირებთან) ერთად, სადაც მათ შესაძლოა პრივატულობის მომეტებული სურვილი და მოლოდინი ჰქონდეთ. ამ გარემოებისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ამ სივრცეების ვიდეოთვალთვალისას მუშავდება სხვადასხვა სახის დიდი მოცულობით მონაცემები (მონაცემები გადაადგილების, საქმიანი თუ პირადი შეხვედრების, კონკრეტული მომსახურების მიღების შესახებ) და ამ საჯარო ადგილების ვიდეოთვალთვალი მონაცემთა სუბიექტის ნებართვის გარეშე მიმდინარეობს, მონაცემთა დამმუშავებელმა მკაცრად უნდა დაიცვას კანონით დადგენილი წესები.

უპირველეს ყოვლისა, ვიდეოსათვალთვალო სისტემის განთავსებამდე, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა:

- *განსაზღვროს რა მიზანს ემსახურება დაგეგმილი ვიდეოთვალთვალი;*
- *შეაფასოს რამდენად აუცილებელია აღნიშნული მიზნის მისაღწევად ვიდეოთვალთვალი;*
- *შეაფასოს მონაცემთა დამუშავების ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე, რათა წინასწარ გააანალიზოს და მინიმუმამდე შეამციროს ვიდეოთვალთვალის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი რისკები;*
- *გამოიყენოს დაცული ვიდეოსათვალთვალო სისტემები;*
- *განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო სისტემის ტექნიკური მახასიათებლები, ვიდეოკამერების რაოდენობა, ვიდეოკამერების განთავსების ადგილები და ხედვის არეალი;*
- *განსაზღვროს ვიდეოთვალთვალის პერიოდი და ჩანაწერების შენახვის ვადა;*
- *გაიაროს კონსულტაცია დაწესებულების მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან.*

ქუჩაში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვიდეოთვალთვალი კანონიერია თუ:		
ვიდეოთვალთვალი ხორციელდება კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად	- დანაშაულის თავიდან აცილება; - პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა; - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; - არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა.	✓
ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი და ამ ფორმით ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტი	- ნიშანი განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილზე; - სასურველია, ნიშანი შეიცავდეს მონაცემებს - ვინ, რა ფორმით და რა მასშტაბით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს; - ნიშანზე არსებული წარწერა უნდა იყოს აღქმადი და გათვალისწინებული იყოს იმ პირთა უმრავლესობის სასაუბრო ენა, რომლებიც ექცევიან მონიტორინგის ქვეშ.	✓
განსაზღვრულია ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა	- განსაზღვრულია შენახვის გონივრული და ვიდეოჩანაწერების მიზნის (საჭიროების) ადეკვატური ვადა; - უზრუნველყოფილია ვიდეოჩანაწერების წაშლა შენახვის ვადის გასვლისთანავე.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა უსაფრთხოება	- სასურველია, შემუშავებული იყოს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ვიდეოთვალთვალის წესები და უსაფრთხოების ზომები; - უზრუნველყოფილია ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება; - ჩანაწერებზე წვდომა მინიჭებული აქვთ პირთა შეზღუდულ წრეს, მათი ფუნქციებისა და სამსახურებრივი საჭიროების მხედველობაში მიღებით; - სისტემაზე წვდომა წარმოებს მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით; - აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი); - მიღებულია ზომები ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით;	✓

	○ პერიოდულად მოწმდება სისტემაზე წვდომის შემთხვევები და რეაგირება ხდება არასანქცირებული წვდომის ფაქტებზე.	
ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემისას დაცულია კანონი	○ ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემა წარმოებს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში; ○ აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემის ყველა შემთხვევა.	✓
ვიდეოთვალთვალის უფლებამოსილი პირის მეშვეობით განხორციელებისას დაცულია კანონის მოთხოვნები	○ უფლებამოსილ პირთან გაფორმებულია წერილობითი ხელშეკრულება ან მასთან ურთიერთობა რეგულირდება სამართლებრივი აქტით; ○ ხელშეკრულებაში/სამართლებრივ აქტში გაწერილია დავალების/მომსახურების შინაარსი და მონაცემთა უსაფრთხოებისთვის უფლებამოსილი პირის მიერ მისაღები ზომები; ○ მონაცემთა დამმუშავებელი რეგულარულ მონიტორინგს უწევს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზება	უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის შემდეგი უფლებების რეალიზება: ○ ვიდეოჩანაწერის ასლის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის წაშლის, დაბლოკვის და გასწორების მოთხოვნის უფლება; ○ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის სხვისთვის გადაცემის (საფუძვლის, მიზნის) შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.	✓

1. ვიდეოთვალთვალის მიზნები

მოქმედი კანონმდებლობა არეგულირებს ქუჩაში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესს.[9] ქუჩაში (მათ შორის, პარკში, სკვერში, სათამაშო მოედანზე), საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის

[9] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-11 მუხლი.*

გაჩერებასა და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში ვიდეოთვალთვალი დასაშვებია შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- დანაშაულის თავიდან აცილება;
- პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა.

მაგალითად, პოლიცია რომლის ფუნქციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა, დანაშაულის/სხვა სამართალდარღვევის თავიდან აცილება და შემდგომ გამოვლენა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა, გზებზე განათავსოს ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად.[10]

მაგალითად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახური, რომლის ფუნქციაა ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული ბაღების, სკვერების, პარკების უსაფრთხოებისა და აღნიშნულ ობიექტებზე არსებული ქონების დაცვის უზრუნველყოფა, ახორციელებს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებზე მუდმივ დაკვირვებას.[11]

მნიშვნელოვანია, რომ ქუჩაში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვიდეოთვალთვალის პროცესში მონაცემები დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც ხსენებული მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი (მაგალითად, მსგავს ადგილებში თითქმის არ არსებობს აუდიოჩაწერის გზით მონაცემების დამუშავების საჭიროება).

2. ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი

ქუჩაში (მათ შორის, პარკში, სკვერში, სათამაშო მოედანზე), საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასა და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში აუცილებელია ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება და ამ ფორმით მოქალაქეთა ინფორმირება.

---

[10] *„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 27-ე მუხლი*

[11] *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-10 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.*

საჯარო და კერძო დაწესებულებები ვალდებული არიან, თვალსაჩინო ადგილას განათავსონ ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი!

წესები, რომლებიც უნდა იყოს დაცული ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსებისას:

- *გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების ადგილი უნდა იყოს თვალსაჩინო აღნიშნულ სივრცეში მოხვედრილი ნებისმიერი პირისთვის (მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყველა მგზავრს უნდა ჰქონდეს ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნის დანახვის შესაძლებლობა). თუ სივრცე ამის შესაძლებლობას არ იძლევა, უნდა განთავსდეს რამდენიმე გამაფრთხილებელი ნიშანი;*
- *გამაფრთხილებელი ნიშანზე არსებული წარწერა, მიზანშეწონილია, შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ვინ ახორციელებს ვიდეოთვალთვალს (შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქ. თბილისის მერია და ა.შ.), მონიტორინგის ფორმა (მიმდინარეობს ვიდეო თუ ვიდეო-აუდიომონიტორინგი), მონიტორინგის მასშტაბი (ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს 24 საათიან რეჟიმში);*
- *გამაფრთხილებელი ნიშანზე არსებული წარწერა უნდა იყოს აღქმადი (მაგალითად, გასათვალისწინებელია წარწერის ზომა, ფერი, განთავსების ადგილი);*
- *ინფორმაცია გამაფრთხილებელ ნიშანზე შეიძლება გამოიხატოს ტექსტის ან/და სიმბოლოების სახით. ტექსტის გამოყენების შემთხვევაში გასათვალისწინებელია იმ პირთა უმრავლესობის სასაუბრო ენა, რომლებიც ექცევიან მონიტორინგის ქვეშ. შესაძლებელია რამდენიმე ენის გამოყენებაც;*
- *ვიდეოთვალთვალის ქუჩაში განხორციელებისას, გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა განთავსდეს კამერის სიახლოვეს.*

მხოლოდ ზემოაღნიშნული წესების დაცვის შემთხვევაში ითვლება მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებულად მისი მონაცემების დამუშავების თაობაზე.

გამაფრთხილებელი ნიშნების ნიმუშები:

3. ვიდეოთვალთვალის განხორციელება უფლებამოსილი პირის მეშვეობით

ქუჩაში (მათ შორის, პარკში, სკვერში, სათამაშო მოედანზე), საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასა და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი დაწესებულება უფლებამოსილია ისარგებლოს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მომსახურებით. მაგალითად, მონაცემთა დამმუშავებელმა შესაძლოა, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, დაიქირავოს კომპანია ვიდეოსათვალთვალო სისტემის დამონტაჟების, მისი ტექნიკური გამართვის, სისტემის ადმინისტრირების და ა.შ. მიზნით. ასევე, შესაძლებელია ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებამ, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, სხვა კომპანიის სერვერზე შეინახოს ვიდეოჩანაწერები. ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, კონტრაქტორი კომპანია გვევლინება უფლებამოსილ პირად, რომელიც მონაცემებს ამუშავებს მონაცემთა დამმუშავებლისათვის ან მისი სახელით.

თუ კონტრაქტორ კომპანიას რაიმე ფორმით ექნება ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მოპოვებული მონაცემების რაიმე ფორმით დამუშავების შესაძლებლობა, სახეზეა უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავება.

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი წესები:[12]

- *მონაცემების დამუშავების შესახებ მხარეებს შორის უნდა დაიდოს წერილობითი ხელშეკრულება ან/და მონაცემები უნდა დამუშავდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე (მაგალითად, კანონი, მინისტრის ბრძანება);*
- *უფლებამოსილ პირთან დადებულ ხელშეკრულებაში ან/და შესაბამის სამართლებრივ აქტში ნათლად უნდა გაიწეროს რას მოიცავს დავალება/მომსახურება, მათ შორის, ვინ უზრუნველყოფს ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, სისტემის ადმინისტრირებას, ვიდეოჩანაწერებზე წვდომას, წვდომაზე უფლებამოსილი პირების რეგისტრაციას და მათ მონიტორინგს. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს მონაცემთა უსაფრთხოებისთვის უფლებამოსილი პირის მიერ ზომების მიღების ვალდებულება;*
- *მონაცემთა დამმუშავებელმა რეგულარული მონიტორინგი უნდა გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს.*

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა დამმუშავებელს არ ათავისუფლებს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისგან. პირიქით, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თვალყური ადევნოს, მისი სახელით, უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს, რათა დარწმუნდეს, რომ მონაცემთა დამუშავება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და მონაცემთა უსაფრთხოება დაცულია არაუფლებამოსილ პირთა ხელყოფისაგან.

- ***დაუშვებელია*** მონაცემთა დამუშავების შესახებ უფლებამოსილ პირთან ხელშეკრულების დადება, თუ არსებობს ამ უკანასკნელის მხრიდან მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების საფრთხე.

> ***მაგალითად,*** *მონაცემთა დამმუშავებელმა არ უნდა დადოს ხელშეკრულება იმ უფლებამოსილ პირთან, რომელმაც წარსულში არაერთხელ დაარღვია მონაცემთა დამუშავების წესები ან/და ხელშეკრულების პირობები. ასევე, არ უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება ისეთ უფლებამოსილი პირთან, რომელსაც მონაცემთა*

[12] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-16 მუხლი.*

უსაფრთხოების დასაცავად არ აქვს მიღებული შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.

- ***დაუშვებელია*** უფლებამოსილი პირის მიერ, ხელშეკრულებით ან/და სამართლებრივი აქტით, დადგენილი ფარგლებისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავება.

> ***მაგალითად,*** *თუ უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა ვიდეოთვალთვალის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მხოლოდ ამ მიზნით აქვს მინიჭებული მონაცემებზე წვდომა, უფლებამოსილი პირის მხრიდან დაუშვებელია კონკრეტულ პირთა გადაადგილების კონტროლის მიზნით ვიდეოჩანაწერების დათვალიერება.*

- ***დაუშვებელია*** უფლებამოსილი პირის მიერ, მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობის გარეშე, მონაცემთა დამუშავების უფლების სხვა პირისთვის გადაცემა.

უფლებამოსილ პირსა და მონაცემთა დამმუშავებელს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მის ხელთ არსებული მონაცემები გადასცეს მონაცემთა დამმუშავებელს.

4. ვიდეოჩანაწერების შენახვა

მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი პრინციპია მონაცემების გონივრული ვადით შენახვა. სამწუხაროდ ხშირად დაწესებულებები არ არეგულირებენ და არ აკონტროლებენ ვიდეოჩანაწერების შენახვის საკითხს და სისტემის მოცულობის გათვალისწინებით, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ არსებული ვიდეოჩანაწერები ავტომატურად იშლება და ახალი ჩანაწერები ანაცვლებს ძველს. მსგავსი პრაქტიკა არ შეესაბამება კანონმდებლობას.

> **დაწესებულებამ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, წინასწარ უნდა განსაზღვროს ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა და აღნიშნული ვადის გასვლისთანავე უნდა უზრუნველყოს მათი წაშლა!**

ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა უნდა განისაზღვროს იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზანს ემსახურება ვიდეოთვალთვალი და ამ მიზნის მისაღწევად რამდენი ხანი შეიძლება იყოს საჭირო ვიდეოჩანაწერების შენახვა.

ვიდეოჩანაწერები შენახული უნდა იყოს უსაფრთხოდ, ისე რომ შეუძლებელი იყოს არაუფლებამოსილ პირთა მხრიდან მათზე წვდომა - მათი დათვალიერება, გადმოწერა, წაშლა, არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და ა.შ.

5. ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოება

ვიდეოთვალთვალის დროს მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება პასუხისმგებლობა მონაცემთა უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ, ვიდეოთვალთვალის სისტემაში შენახული პერსონალური მონაცემების ამსახველი ვიდეო/აუდიო ჩანაწერების უსაფრთხოებისთვის, მიღებულ უნდა იქნეს ქმედითი და ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩანაწერებში ასახული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნება, მათი არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და სხვა.

მონაცემთა დამმუშავებლებმა (ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი დაწესებულებამ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით:

- *უნდა უზრუნველყონ ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება. კერძოდ, ვიდეოთვალთვალის სისტემა, მისი ტექნიკური აღჭურვილობა (DVR მოწყობილობა, მონიტორები და სხვა) უნდა განათავსონ დაცულ ოთახში, სადაც დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები;*
- *ჩანაწერებზე წვდომა მიანიჭონ პირთა განსაზღვრულ წრეს. წვდომის დონისა და ჩანაწერებზე მათი უფლებამოსილების ფარგლების (ვინ რა ჩანაწერს ხედავს) განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამშრომელთა ფუნქციები და ჩანაწერებზე მათი წვდომის სამსახურებრივი საჭიროება;*
- *ჩანაწერებზე უფლებამოსილ პირთა ვიდეოთვალთვალის სისტემაზე დაშვება განახორციელონ მხოლოდ მათზე განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და ინდივიდუალური პაროლის საშუალებით. დაუშვებელია ჩანაწერებზე წვდომა ერთი და იგივე მომხმარებლის სახელითა და პაროლით ჰქონდეს 1-ზე მეტ პირს;*
- *რეალურ რეჟიმში ვიდეოთვალთვალისას, უზრუნველყონ მონიტორზე არსებული ვიდეოგამოსახულების მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის ხელმისაწვდომობა;*
- *აღრიცხონ ვიდეოთვალთვალის სისტემებში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მონაცემთა მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება. კერძოდ, ელექტრონულად სრულად უნდა აღრიცხონ (ე. წ.*

„ლოგირება“) ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი;

- *მიიღონ ზომები სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის, ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით (მაგალითად, ე.წ. ჰაკერული თავდასხმა);*
- *პერიოდულად შეამოწმონ სისტემაზე წვდომის შემთხვევები და რეაგირება უნდა მოახდინონ არასანქცირებული წვდომის ფაქტებზე;*
- *შექმნან ჩანაწერების შენახვისთვის განკუთვნილი ფაილური სისტემა. ჩანაწერების (სურათებისა/ხმის) გარდა, სისტემა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ;*
- *შეიმუშაონ შიდა დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ვიდეოთვალთვალის წესები, ორგანიზაციის მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომები, სისტემის ფუქნციონირების, მასზე წვდომის საკითხები, სისტემის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემები და ა. შ. მსგავსი შიდა რეგულაციები ხელს უწყობს ვიდეოთვალთვალის კანონშესაბამისად განხორციელებას.*

6. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გამჟღავნება

შენახულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა, მათი დათვალიერება და რიგ შემთხვევებში, მესამე პირებისთვის გადაცემა შეიძლება გახდეს საჭირო სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, თუ არსებობს ეჭვი, რომ ვიდეოჩანაწერზე ასახულია დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტი, მისი დათვალიერების ინტერესი უჩნდება საქმის მწარმოებელ ორგანოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების მიზნებისთვის.

დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ვიდეოთვალთვალს, ვალდებულია ჩანაწერების დათვალიერება და მესამე პირისთვის (მათ შორის, პოლიციისთვის) გამჟღავნება განახორციელოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით.[13]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ვიდეოჩანაწერის მოპოვებისა და გამჟღავნებისთვის კანონმდებლობით დადგენილია მაღალი სტანდარტი.[14]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ჩანაწერების საგამოძიებო ორგანოსთვის გამჟღავნებისას ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

---

[13] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი.*
[14] *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 136-ე მუხლი.*

- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერის გადაცემა, თუ მან ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელ დაწესებულებას არ წარუდგინა სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერების გადასაცემად არ არის საკმარისი მათი ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნა;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერის დათვალიერების უფლების მიცემა, თუ მან ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელ დაწესებულებას არ წარუდგინა სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება ჩანაწერის დათვალიერების თაობაზე;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის იმ ჩანაწერის გადაცემა, რომელიც არ არის მითითებული სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის დადგენილებაში. შესაბამისად, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელ დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს გადასცემს აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული პერიოდის ჩანაწერს და გადაცემული ჩანაწერის ხანგრძლივობა არ აჭარბებს განჩინებით/დადგენილებით განსაზღვრულ პერიოდს;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებამ მიანიჭოს იმ პერიოდის ჩანაწერების დათვალიერებისა და გადახვევის უფლება, რაც არ არის მითითებული სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის დადგენილებაში. ასევე, დაუშვებელია ამ ჩანაწერებიდან კონკრეტული გამოსახულების ამსახველი მონაკვეთების ფოტოგადაღება ან/და ვიდეოგადაღება მობილური ტელეფონისა თუ სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში ვიდეოჩანაწერის მოპოვებისა და გამჟღავნებისათვის კანონმდებლობით არ არის დადგენილი ისეთივე მაღალი სტანდარტი, როგორც სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შემთხვევაში.[15]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს ჩანაწერების მოპოვების წესისაგან განსხვავებით, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებამ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დროს, ჩანაწერები შესაძლოა გასცეს ადმინისტრაციული (მათ შორის, სამართალდამცავი) ორგანოს წარმომადგენელს წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში ჩანაწერების ადმინისტრაციული (მათ შორის, საგამოძიებო) ორგანოსთვის გამჟღავნებისას ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

---

[15] *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 236-ე მუხლი.*

- *ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩანაწერის გამოთხოვის შესახებ წარდგენილი უნდა იყოს ოფიციალური წერილობითი მიმართვა, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით;*
- *ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერის გამოთხოვის სამართლებრივი საფუძველი (მიზეზი, მიზანი) და ინფორმაცია ჩანაწერის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში მტკიცებულებად საჭიროების თაობაზე;*
- *ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერის საჭირო პერიოდი.*

ჩანაწერების გამჟღავნების (მესამე პირებისთვის გადაცემის) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ ჩანაწერზე არსებულ მესამე პირთა ინტერესები და მათი იდენტიფიცირების შესაძლებლობა. ასეთი საჭიროების არარსებობისას, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ჩანაწერზე მესამე პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა (მაგალითად, დაფაროს მათი გამოსახულება).

კანონმდებლობა მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს მონაცემთა გამჟღავნების ყველა შემთხვევის აღრიცხვას. ამ მიზნით, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა, ჩანაწერების გამჟღავნებისას უნდა აღრიცხონ შემდეგი ინფორმაცია:

- *რომელი ჩანაწერის გამჟღავნება მოხდა. კერძოდ, ვიდეოჩანაწერების გაცემისას უნდა აღირიცხოს რომელ თარიღში გადაღებული და რა პერიოდის ამსახველი ჩანაწერის გამჟღავნება განხორციელდა (მაგალითად, 2021 წლის 10:00 საათიდან 13:00 საათამდე, № ... კამერის ჩანაწერი);*
- *ვისთვის მოხდა ჩანაწერის გამჟღავნება (მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს შემთხვევაში უნდა მიეთითოს აღნიშნული უწყების სახელი დეტალურად - შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეხუთე განყოფილება, გამომძიებელი პეტრე პავლიაშვილი);*
- *ჩანაწერის გამჟღავნების თარიღი;*
- *ჩანაწერის გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი - ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 ან/და მე-6 მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტი (მაგალითად, ჩანაწერის გადაცემა მოხდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად).*

7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

ყველა პირი, რომელიც დაექვემდებარა ქუჩაში (მათ შორის, პარკში, სკვერში, სათამაშო მოედანზე), საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასა და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში ვიდეოთვალთვალს, უფლებამოსილია:

- *გამოითხოვოს შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ასლი;*
- *მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა და გასწორება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის დარღვევით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვინ ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვის გადაეცა მის შესახებ ჩანაწერი, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.*

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.[16]

[16] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 24-ე მუხლი.*

V. ვიდეოთვალთვალი საჯარო და კერძო დაწესებულებებში

კანონმდებლობით ნებადართულია საჯარო და კერძო დაწესებულებების კონკრეტული სივრცეების (შესასვლელის, დერეფნების, ეზოს და სხვა ადგილების) ვიდეოთვალთვალი, თუ ეს ემსახურება კანონით გათვალისწინებულ მიზანს და შენობაში მყოფი პირები სათანადოდ არიან ინფორმირებულნი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ.

საჯარო და კერძო დაწესებულებების შენობებში, მათი ფუნქციიდან გამომდინარე, სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის ადამიანები იყრიან თავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამა თუ იმ დანიშნულების შენობაში (იქნება ეს სპორტული დარბაზი, გამაჯანსაღებელი ცენტრი, საგანმანათლებლო თუ გასართობი დაწესებულება და ა.შ.) ნებისმიერი მიზნით მყოფ პირს ჰქონდეს მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის, დაცულობის განცდა და ვიდეოთვალთვალის კანონიერად განხორციელების მოლოდინი.

ვიდეოსათვალთვალო სისტემის განთავსებამდე, მონაცემთა დამმუშავებელმა (საჯარო ან კერძო დაწესებულებამ) უნდა:

- *განსაზღვროს რა მიზანს ემსახურება დაგეგმილი ვიდეოთვალთვალი;*
- *შეაფასოს რამდენად აუცილებელია აღნიშნული მიზნის მისაღწევად ვიდეოთვალთვალი;*
- *შეაფასოს მონაცემთა დამუშავების ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე, რათა წინასწარ გააანალიზოს და მინიმუმამდე შეამციროს ვიდეოთვალთვალის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი რისკები;*
- *გამოიყენოს დაცული ვიდეოსათვალთვალო სისტემები;*
- *განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო სისტემის ტექნიკური მახასიათებლები, ვიდეოკამერების რაოდენობა, ვიდეოკამერების განთავსების ადგილები და ხედვის არეალი;*
- *განსაზღვროს ვიდეოთვალთვალის პერიოდი და ჩანაწერების შენახვის ვადა;*
- *გაიაროს კონსულტაცია დაწესებულების მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან.*

საჯარო და კერძო დაწესებულებებში ვიდეოთვალთვალი კანონიერია თუ:		
ვიდეოთვალთვალი ხორციელდება კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად	• პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა; • არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა;	✓

	- საიდუმლო ინფორმაციის დაცვა; - გამოცდის/ტესტირების ჩატარება.	
ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი და ამ ფორმით ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტი	- ნიშანი განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილზე; - სასურველია, ნიშანი შეიცავდეს მონაცემებს - ვინ, რა ფორმით და რა მასშტაბით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს; - ნიშანზე არსებული წარწერა უნდა იყოს აღქმადი და გათვალისწინებული იყოს იმ პირთა უმრავლესობის სასაუბრო ენა, რომლებიც ექცევიან მონიტორინგის ქვეშ.	✓
განსაზღვრულია ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა	- განსაზღვრულია შენახვის გონივრული და ვიდეოჩანაწერების მიზნის (საჭიროების) ადეკვატური ვადა; - უზრუნველყოფილია ვიდეოჩანაწერების წაშლა შენახვის ვადის გასვლისთანავე.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა უსაფრთხოება	- სასურველია, შემუშავებული იყოს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ვიდეოთვალთვალის წესები და უსაფრთხოების ზომები; - უზრუნველყოფილია ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება; - ჩანაწერებზე წვდომა მინიჭებული აქვთ პირთა შეზღუდულ წრეს, მათი ფუნქციებისა და სამსახურებრივი საჭიროების მხედველობაში მიღებით; - სისტემაზე წვდომა წარმოებს მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით; - აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი); - მიღებულია ზომები ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით; - პერიოდულად მოწმდება სისტემაზე წვდომის შემთხვევები და რეაგირება ხდება არასანქცირებული წვდომის ფაქტებზე.	✓
ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემისას დაცულია კანონი	- ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემა წარმოებს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში;	

	- აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემის ყველა შემთხვევა.	✓
სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალისას დაცულია კანონით დადგენილი წესები	ვიდეოთვალთვალი ხორციელდება შემდეგი მიზნებით: - პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა; - საიდუმლო ინფორმაციის დაცვა; - გამოცდების/ტესტირების ჩატარება/ადმინისტრირება. დასაქმებული წერილობით არის ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მისი უფლებების შესახებ	✓
აუდიომონიტორინგის განხორციელებისას დაცულია კანონის მოთხოვნები	- არსებობს აუდიომონიტორნგის დამოუკიდებელი, კონკრეტული კანონიერი მიზანი; - დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია სხვა საშუალებით, რომლიც ნაკლები მოცულობით მონაცემების დამუშავებას გულისხმობს; - მკაცრად განსაზღვრულია აუდიომონიტორინგის რეჟიმი, ინტენსივობა, მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტები, დრო.	✓
ვიდეოთვალთვალის უფლებამოსილი პირის მეშვეობით განხორციელებისას დაცულია კანონის მოთხოვნები	- უფლებამოსილ პირთან გაფორმებულია წერილობითი ხელშეკრულება ან მასთან ურთიერთობა რეგულირდება სამართლებრივი აქტით; - ხელშეკრულებაში/სამართლებრივ აქტში გაწერილია დავალების/მომსახურების შინაარსი და მონაცემთა უსაფრთხოებისთვის უფლებამოსილი პირის მიერ მისაღები ზომები; - მონაცემთა დამმუშავებელი რეგულარულ მონიტორინგს უწევს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზება	უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის შემდეგი უფლებების რეალიზება: - ვიდეოჩანაწერის ასლის მიღების უფლება; - ვიდეოჩანაწერის წაშლის, დაბლოკვის და გასწორების მოთხოვნის უფლება; - ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;	✓

	○ ვიდეოჩანაწერის სხვისთვის გადაცემის (საფუძვლის, მიზნის) შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.	

1. ვიდეოთვალთვალის მიზნები

მოქმედი კანონმდებლობა არეგულირებს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესს.[17] ვიდეოთვალთვალს შესაძლოა დაექვემდებაროს შენობის გარე პერიმეტრი, შენობის შესასვლელი, ხოლო აუცილებლობისას - სამუშაო ადგილები.

საჯარო და კერძო დაწესებულებებში ვიდეოთვალთვალი დასაშვებია შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- *პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა;*
- *არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა;*
- *საიდუმლო ინფორმაციის დაცვა;*
- *გამოცდის/ტესტირების ჩატარება.*

მაგალითად, ვიდეოთვალთვალი დასაშვებია საჯარო ან კერძო დაწესებულებების მიმღებში (სადაც სისტემატურად ხვდებიან მესამე პირები) პირთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით; ასევე, საჯარო ან კერძო დაწესებულებების იმ სივრცეში/სივრცის შესასვლელთან, სადაც ინახება საიდუმლო ინფორმაცია; სავაჭრო ობიექტებში ვიდეოთვალთვალი დასაშვებია პროდუქციის განთავსების ადგილზე საკუთრების დაცვის მიზნით, ასევე, სალაროსთან, სადაც ხდება ანგარიშსწორება და არსებობს საკუთრების დაცვის მომეტებული ინტერესი; საბავშვო ბაღებში და სკოლებში ვიდეოთვალთვალი დასაშვებია არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით; საგანმანათლებლო დაწესებულების აუდიტორიაში/საკლასო ოთახში ვიდეოთვალთვალი დასაშვებია გამოცდის/ტესტირების პროცესის დადგენილი წესების დაცვით მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით და ა.შ.

[17] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-12 მუხლი.*

2. ვიდეოთვალთვალის შესახებ გაფრთხილება

ადამიანს, რომელიც იმყოფება საჯარო თუ კერძო დაწესებულების შენობის იმ სივრცეში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, უფლება აქვს იცოდეს ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ, რათა სურვილისამებრ აკონტროლოს საკუთარი ქცევა, გარეგნობა და მოქმედებები.

საჯარო და კერძო დაწესებულებები ვალდებული არიან, თვალსაჩინო ადგილას განათავსონ ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი!

გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების ადგილი და მასზე მითითებული წარწერა შესაბამისი გამოსახულებით აღქმადი უნდა იყოს იმ სივრცეში მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანისათვის. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტი ითვლება მისი მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად.

ხშირად საჯარო და კერძო დაწესებულებები შენობის ძირითად შესასვლელში ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ განთავსებულ გამაფრთხილებელ ნიშანს საკმარისად თვლიან და საჭიროდ არ მიიჩნევენ მონიტორინგის ყველა სივრცეში ასეთივე ნიშნების განთავსებას. მსგავს შემთხვევებში, შენობაში განთავსებული კამერები აჩენს ვარაუდს მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ, თუმცა არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას მონიტორინგის მიმდინარეობის, მისი ფორმისა და მასშტაბის შესახებ. შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტისთვის ძნელად იდენტიფიცირებადია შენობის რომელ სივრცეში მიმდინარეობს მონიტორინგი.

წესები, რომლებიც უნდა იყოს დაცული საჯარო და კერძო დაწესებულებებში ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსებისას:

- *გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების ადგილი უნდა იყოს თვალსაჩინო შენობის შესაბამის სივრცეში მოხვედრილი ნებისმიერი პირისთვის. ნიშანი უნდა განთავსდეს შენობის ყველა იმ სივრცეში (შენობის ავტოსადგომი, დერეფანი, შესასვლელი, მიმღები და ა.შ.), სადაც უშუალოდ მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი;*
- *გამაფრთხილებელი ნიშანზე არსებული წარწერა მიზანშეწონილია შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: რომელი დაწესებულება (დაწესებულების დასახელება) ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, მონიტორინგის ფორმა (მიმდინარეობს ვიდეო თუ ვიდეო-აუდიომონიტორინგი), მონიტორინგის მასშტაბი (მაგალითად, ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს 24 საათიან რეჟიმში);*
- *გამაფრთხილებელი ნიშანზე არსებული წარწერა უნდა იყოს აღქმადი (მაგალითად, გასათვალისწინებელია წარწერის ზომა, ფერი, განთავსების ადგილი);*

- *ინფორმაცია გამაფრთხილებელ ნიშანზე შეიძლება გამოიხატოს ტექსტის ან/და სიმბოლოების სახით. ტექსტის გამოყენების შემთხვევაში გასათვალისწინებელია იმ პირთა უმრავლესობის სასაუბრო ენა, რომლებიც ხვდებიან შენობაში და ექცევიან მონიტორინგის ქვეშ. შესაძლებელია რამდენიმე ენის გამოყენებაც;*
- *გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა განთავსდეს კამერის სიახლოვეს.*

მხოლოდ ზემოაღნიშნული წესების დაცვის შემთხვევაში ითვლება მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებულად მისი მონაცემების დამუშავების თაობაზე.

გამაფრთხილებლი ნიშნის ნიმუშები:

3. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი

სამუშაო ადგილი (მაგალითად, სამუშაო ოთახი, საპროცედურო ოთახი, სალარო) წარმადგენს ძირითადი სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად განკუთვნილ სივრცეს, სადაც დასაქმებული შესაძლოა ახორციელებდეს არასამსახურებრივ აქტივობებსაც (მაგალითად, პასუხობდეს პირად სატელეფონო ზარებს, სარგებლობდეს შესვენებით, ჰქონდეს კომუნიკაცია მესამე პირებთან, კოლეგებთან და სხვა).

საჯარო და კერძო დაწესებულებები ხშირად იყენებენ ვიდეოთვალთვალს თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხისა და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის მიზნით, რაც არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა გარანტირებულია როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დროს. როგორც ევროპის ადამიანის

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმეზე განმარტა,[18] პირადი ცხოვრების უფლება თავის თავში მოიცავს პირის უფლებას, განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან მაშინაც კი თუ ეს ურთიერთობა სამუშაო პროცესის დროს ხდება. პირადი ცხოვრების ცნება მოიცავს პროფესიული ხასიათის საქმიანობასაც, ვინაიდან ადამიანების უმეტესობას გარე სამყაროსთან კომუნიკაციის საშუალება სწორედ სამსახურებრივი ურთიერთობის ფარგლებში ეძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალისას დაცული უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესები და დასაქმებულთა პირადი ცხოვრების უფლება.

სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- *პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვას;*
- *საიდუმლო ინფორმაციის დაცვას;*
- *გამოცდების/ტესტირების ჩატარება/ადმინისტრირებას.*

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ვიდეოთვალთვალის სისტემის განთავსება სავალდებულოა აფთიაქებისთვის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისთვის, აზარტული თუ სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორებისთვის. ზემოხსენებული მიზნებით ვიდეოთვალთვალი ასევე დასაშვები შეიძლება იყოს ბანკებში განთავსებულ სალაროებთან და საავადმყოფოებში არსებულ რეგისტრატურებთან. მსგავსი ადგილები მართალია მოიცავს სამუშაო სივრცესაც, თუმცა უმეტესად ასეთ ადგილებში ხორციელდება ფინანსური ოპერაციები და ანგარიშსწორება, რაც დაწესებულების მიერ მონიტორინგის ლეგიტიმურ მიზანს შეიძლება ქმნიდეს.

მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის შიგნით (რომელიც მოიცავს სამუშაო ადგილსაც) ვიდეოსათვალთვალო კამერის განთავსება ემსახურება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დამადასტურებელი ქვითრის მომხმარებლისთვის გადაცემის ფაქტის დაფიქსირების მიზანს.

მაგალითად, ბანკში მოლარის სამუშაო მაგიდასთან ვიდეოთვალთვალის განხორციელება შესაძლოა საჭირო იყოს მოლარის და ბანკის უსაფრთხოების დასაცავად, რათა თავდასხმის შემთხვევაში უსაფრთხოების სამსახურმა მოახდინოს სწრაფი რეაგირება.

დაუშვებელია სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი დასაქმებული პირების კომუნიკაციის, სამსახურში გამოცხადების, შიდაორგანიზაციული სტანდარტის დაცვის, მათ შორის, გარეგნული იერის/ჩაცმის სტილის, მომსახურების ხარისხის კონტროლის

[18] *Antonovic and mirkovic v. Montenegro, 28/11/2017, №70838/13.*

მიზნით. მაგალითად, შეხვედრების, ტრენინგებისა თუ ადმინისტრაციის ოთახების ვიდეოთვალთვალი შესაძლოა არ ემსახურებოდეს კანონით გათვალისწინებულ მიზნებს.

დაუშვებელია სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი, თუ ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებითაც არის შესაძლებელი!

დაწესებულებამ დასაქმებულს წერილობითი ფორმით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მისი (ინფორმაციის გამოთხოვის, გასწორების, წაშლის მოთხოვნის, გასაჩივრების) უფლებების შესახებ.[19]

გარკვეულ დაწესებულებებში სამუშაო სივრცეები გამოყოფილია მინის, გამჭვირვალე კედლებით და ეს სივრცეები საჭიროების გარეშე ხვდება კამერების ხედვის არეალში. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, სამუშაო მაგიდები, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განთავსებულია დაწესებულების საერთო სივრცეში, სადაც კანონიერი მიზნით მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი. მსგავს ვითარებაში, სამუშაო ადგილის ვიდეოთვალთვალის აუცილებლობის არარსებობისას, მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ მიიღოს შესაბამისი ზომები (მაგალითად, შეცვალოს კამერების ხედვის არეალი, სამუშაო მაგიდები გამოყოს საერთო სივრციდან დახურული ფორმით, გაუმჭვირვალე გახადოს ოთახების კედლები და სხვა), რაც გამორიცხავს აღნიშნული ოთახების/სამუშაო მაგიდების ვიდეოთვალთვალს.

4. გამოსაცვლელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი სივრცეების ვიდეოთვალთვალი

დაუშვებელია ვიდეოთვალთვალი გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში. ასეთ სივრცეებში ადამიანს აქვს (და უნდა ჰქონდეს) მისი პირადი ცხოვრების დაცულობის და პატივისცემის ლეგიტიმური მოლოდინი.[20]

ჰიგიენისთვის განკუთვნილი სივრცე მოიცავს როგორც საპირფარეშოს კაბინებს, ასევე ხელსაბან სივრცეს.

გამოსაცვლელ ოთახში იგულისხმება სივრცე, რომელსაც დაწესებულების თანამშრომლები/მომხმარებლები/სტუმრები სისტემატურად იყენებენ სამოსის გამოცვლის მიზნით (მაგალითად, საცურაო აუზის/სპორტული დარბაზის გასახდელი). არის შემთხვევები, როდესაც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სპეციალური ოთახი

[19] *დასაქმებულის ინფორმირების ნიმუში მოცემულია ამავე დოკუმენტის დანართში, დანართი №1.*
[20] *Von Hannover v. Germany, 24/06/2004, №59320/00.*

გამოსაცვლელად და ამ ოთახით მიზნობრივი სარგებლობის შესახებ აფრთხილებს თანამშრომლებს, თუმცა ზოგჯერ დაწესებულების თანამშრომლები სხვა დანიშნულების ოთახს (მაგალითად, სუპერმარკეტის საწყობს) დამატებით იყენებენ თანამშრომელთა გამოსაცვლელ სივრცედ. ვიდეოთვალთვალი დაუშვებელია როგორც გამოსაცვლელად გამოყოფილ სპეციალური ოთახში, ასევე იმ სივრცეში რომელსაც თანამშრომლები ამ მიზნით იყენებენ.

5. ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით აუდიომონიტორინგი

ვიდეოსათვალთვალო სისტემების უმეტესობას აქვს აუდიოჩაწერის ფუნქციაც. აღნიშნული ფუნქციონალის გააქტიურება ავტომატურად ზრდის მონაცემთა დამუშავების მასშტაბს და დამუშავებული მონაცემების მოცულობას. კერძოდ, დაწესებულება ვიზუალურ გამოსახულებასთან ერთად მოიპოვებს ხმას, სამსახურებრივ/არასამსახურებრივ, პირად, საჯარო თუ სხვა სახის საუბრის შინაარსს. ვიდეოთვალთვალის კანონით დაშვებული მიზნების მიღწევა, ჩვეულებრივ, არ მოითხოვს დამატებით აუდიომინიტორინგს.[21]

აუდიომონიტორინგს უნდა ჰქონდეს ვიდეოთვალთვალისგან დამოუკიდებელი კანონიერი მიზანი და აუდიომონიტორინგი აუცილებელი და საჭირო უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად

შესაბამისად, დაწესებულებებმა ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით აუდიომონიტორინგის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეაფასონ:

- *არსებობს თუ არა აუდიომონიტორნგის დამოუკიდებელი, კონკრეტული კანონიერი მიზანი;*
- *დასახული მიზანი ხომ არ მიიღწევა მხოლოდ ვიდეოთვალთვალის გზით ან სხვა საშუალებით, რომლიც ნაკლები მოცულობით მონაცემების დამუშავებას გულისხმობს;*
- *ვიდეო და აუდიომონიტორინგის რეჟიმი, ინტენსივობა, მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტები, დრო.*

ერთი და იგივე სივრცეში ვიდეო და აუდიო მონიტორინგის საჭიროებისას, ვიდეო და აუდიომონიტორინგის რეჟიმის, ინტენსივობის, მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტების, დროის განსხვავების შემთხვევაში, სისტემები უნდა განცალკევდეს

[21] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-12 მუხლი.*

მაგალითად, დაწესებულების მიმღებში, უსაფრთხოების დასაცავად, შესაძლოა საჭირო იყოს ვიდეოთვალთვალი 24 საათიან რეჟიმში, ხოლო იმავე სივრცეში მიმდინარე ე.წ. ცხელი ხაზის ოპერატორების მომსახურების კონტროლის მიზნით აუდიომონიტორინგის საჭიროება არსებობს მხოლოდ საუბრების მიმდინარეობისას და მხოლოდ საუბრის მონაწილე პირების მიმართ (ამ შემთხვევაში, გამართლებულია მხოლოდ მომხმარებლებთან მიმდინარე სატელეფონო კომუნიკაციის აუდიოჩაწერა და არა მთელი დღის განმავლობაში ცხელი ხაზის ოპერატორების საუბრების ან/და მათი სხვა ზარების აუდიომონიტორინგი).

ხშირად, დაწესებულებები აუდიომონიტორინგის მიზნად მიუთითებენ მომსახურების ხარისხის კონტროლს. თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ აუდიომონიტორინგი ადვილად ხელმისაწვდომი მეთოდია თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგისთვის, დაწესებულებას არ აძლევს ადამიანების პირად ცხოვრებაში არაპროპორციული ჩარევის ხარჯზე მისი გამოყენების უფლებას. მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნის მიღწევა შესაძლებელია დასაქმებულთა და მომხმარებელთა მონაცემების ნაკლები მოცულობით დამუშავების და მათ პირად ცხოვრებაში ნაკლები ჩარევის სხვა გზით. მაგალითად, თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი შესაძლებელია ცხელი ხაზის ან/და წერილობითი/ელექტრონული ფორმით მიღებული პრეტენზიების შესწავლისა და მათზე რეაგირების, ასევე, ე.წ. მისტიური კლიენტების გამოყენების ან/და სხვა საშუალებებით.

ვიდეოსათვალთვალო სისტემით აუდიომონიტორინგის მიმდინარეობისას, თვალსაჩინო ადგილას განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას როგორც ვიდეო, ასევე, აუდიოჩაწერის თაობაზე.

6. ვიდეოთვალთვალი უფლებამოსილი პირის მეშვეობით

საჯარო ან კერძო დაწესებულებამ ვიდეოთვალთვალისთვის, შესაძლებელია, ისარგებლოს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მომსახურებით. მაგალითად, საჯარო ან კერძო დაწესებულებამ შესაძლოა, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, დაიქირავოს კომპანია ვიდეოსათვალთვალო სისტემის დამონტაჟების, მისი ტექნიკური გამართვის, სისტემის ადმინისტრირების და ა. შ. მიზნით. ასევე, შესაძლებელია ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებამ, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, სხვა კომპანიის სერვერზე შეინახოს ვიდეოჩანაწერები. ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, კონტრაქტორი კომპანია გვევლინება უფლებამოსილ პირად, რომელიც მონაცემებს ამუშავებს მონაცემთა დამმუშავებლისათვის ან მისი სახელით.

თუ კონტრაქტორ კომპანიას რაიმე ფორმით ექნება ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მოპოვებული მონაცემების რაიმე ფორმით დამუშავების შესაძლებლობა, სახეზეა უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავება.

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი წესები:[22]

- *მონაცემების დამუშავების შესახებ მხარეებს შორის უნდა დაიდოს წერილობითი ხელშეკრულება ან/და მონაცემები უნდა დამუშავდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტის (მაგალითად, კანონი, მინისტრის ბრძანება) საფუძველზე;*
- *უფლებამოსილ პირთან დადებულ ხელშეკრულებაში ან/და შესაბამის სამართლებრივ აქტში ნათლად უნდა გაიწეროს რას მოიცავს დავალება/მომსახურება, მათ შორის, ვინ უზრუნველყოფს ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, სისტემის ადმინისტრირებას, ვიდეოჩანაწერებზე წვდომას, წვდომაზე უფლებამოსილი პირების რეგისტრაციას და მათ მონიტორინგს. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს მონაცემთა უსაფრთხოებისთვის უფლებამოსილი პირის მიერ ზომების მიღების ვალდებულება;*
- *მონაცემთა დამმუშავებელმა რეგულარული მონიტორინგი უნდა გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს.*

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა დამმუშავებელი (კერძო/საჯარო დაწესებულებას) არ ათავისუფლებს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისგან. პირიქით, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თვალყური ადევნოს, მისი სახელით, უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს, რათა დარწმუნდეს, რომ მონაცემთა დამუშავება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და მონაცემთა უსაფრთხოება დაცულია არაუფლებამოსილ პირთა ხელყოფისაგან.

- ***დაუშვებელია*** მონაცემთა დამუშავების შესახებ უფლებამოსილ პირთან ხელშეკრულების დადება, თუ არსებობს ამ უკანასკნელის მხრიდან მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების საფრთხე.

> ***მაგალითად,*** *მონაცემთა დამმუშავებელმა არ უნდა დადოს ხელშეკრულება იმ უფლებამოსილ პირთან, რომელმაც წარსულში არაერთხელ დაარღვია მონაცემთა დამუშავების წესები ან/და ხელშეკრულების პირობები. ასევე, არ უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება ისეთ უფლებამოსილი პირთან, რომელსაც მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად არ აქვს მიღებული შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.*

[22] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-16 მუხლი.*

- *დაუშვებელია* უფლებამოსილი პირის მიერ, ხელშეკრულებით ან/და სამართლებრივი აქტით დადგენილი, ფარგლებისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავება.

> *მაგალითად, თუ უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა ვიდეოთვალთვალის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მას მხოლოდ ამ მიზნით აქვს მინიჭებული მონაცემებზე წვდომა, უფლებამოსილი პირის მხრიდან დაუშვებელია კონკრეტულ პირთა გადაადგილების კონტროლის მიზნით ვიდეოჩანაწერების დათვალიერება.*

- *დაუშვებელია* უფლებამოსილი პირის მიერ, მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობის გარეშე, მონაცემთა დამუშავების უფლების სხვა პირისთვის გადაცემა.

უფლებამოსილ პირსა და მონაცემთა დამმუშავებელს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მის ხელთ არსებული მონაცემები გადასცეს მონაცემთა დამმუშავებელს.

7. ვიდეოჩანაწერების შენახვა

მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი პრინციპია მონაცემების გონივრული ვადით შენახვა. სამწუხაროდ ხშირად საჯარო და კერძო დაწესებულებები არ არეგულირებენ და არ აკონტროლებენ ვიდეოჩანაწერების შენახვის საკითხს და სისტემის მოცულობის გათვალისწინებით, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ არსებული ვიდეოჩანაწერები ავტომატურად იშლება და ახალი ჩანაწერები ანაცვლებს ძველს. მსგავსი პრაქტიკა არ შეესაბამება კანონმდებლობას.

> **დაწესებულებამ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, წინასწარ უნდა განისაზღვროს ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა და აღნიშნული ვადის გასვლისთანავე უნდა უზრუნველყოს მათი წაშლა!**

ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა უნდა განისაზღვროს იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზანს ემსახურება ვიდეოთვალთვალი და ამ მიზნის მისაღწევად რამდენი ხანი შეიძლება იყოს საჭირო ვიდეოჩანაწერების შენახვა.

ვიდეოჩანაწერები შენახული უნდა იყოს უსაფრთხოდ, ისე რომ შეუძლებელი იყოს არაუფლებამოსილ პირთა მხრიდან მათზე წვდომა - მათი დათვალიერება, გადმოწერა, წაშლა, არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და ა.შ.

8. ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოება

ვიდეოთვალთვალის დროს მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება პასუხისმგებლობა მონაცემთა უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი კერძო/საჯარო დაწესებულების მიერ, ვიდეოთვალთვალის სისტემაში შენახული პერსონალური მონაცემების ამსახველი ვიდეო/აუდიო ჩანაწერების უსაფრთხოებისთვის, მიღებულ უნდა იქნეს ქმედითი და ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩანაწერებში ასახული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნება, მათი არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და სხვა.

მონაცემთა დამმუშავებლებმა (ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებამ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით:

- *უნდა უზრუნველყონ ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება. კერძოდ, ვიდეოთვალთვალის სისტემა, მისი ტექნიკური აღჭურვილობა (DVR მოწყობილობა, მონიტორები და სხვა) უნდა განათავსონ დაცულ ოთახში, სადაც დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები;*
- *ჩანაწერებზე წვდომა მიანიჭონ პირთა განსაზღვრულ წრეს. წვდომის დონისა და ჩანაწერებზე მათი უფლებამოსილების ფარგლების (ვინ რა ჩანაწერს ხედავს) განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამშრომელთა ფუნქციები და ჩანაწერებზე მათი წვდომის სამსახურებრივი საჭიროება;*
- *ჩანაწერებზე უფლებამოსილ პირთა ვიდეოთვალთვალის სისტემაზე დაშვება განახორციელონ მხოლოდ მათზე განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და ინდივიდუალური პაროლის საშუალებით. დაუშვებელია ჩანაწერებზე წვდომა ერთი და იგივე მომხმარებლის სახელითა და პაროლით ჰქონდეს 1-ზე მეტ პირს;*
- *უზრუნველყონ რეალურ რეჟიმში ვიდეოთვალთვალისას, მონიტორზე არსებული ვიდეოგამოსახულების მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის ხელმისაწვდომობა;*
- *აღრიცხონ ვიდეოთვალთვალის სისტემებში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მონაცემთა მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება. კერძოდ, ელექტრონულად სრულად უნდა აღრიცხონ (ე. წ. „ლოგირება“) ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი;*

- *მიიღონ ზომები სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის, ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით (მაგალითად, როგორიცაა ე.წ. ჰაკერული თავდასხმა);*
- *პერიოდულად შეამოწმონ სისტემაზე წვდომის შემთხვევები და რეაგირება მოახდინონ არასანქცირებული წვდომის ფაქტებზე რეაგირება;*
- *შექმნან ჩანაწერების შენახვისთვის განკუთვნილი ფაილური სისტემა. ჩანაწერების (სურათებისა/ხმის) გარდა, სისტემა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ;*
- *შეიმუშაონ შიდა დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ვიდეოთვალთვალის წესები, კერძო/საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომები, სისტემის ფუქნციონირების, მასზე წვდომის საკითხები, სისტემის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემები და ა. შ. მსგავსი შიდა რეგულაციები ხელს უწყობს ვიდეოთვალთვალის კანონშესაბამისად განხორციელებას.*

9. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გამჟღავნება

კერძო/საჯარო დაწესებულების მიერ შენახულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა, მათი დათვალიერება და რიგ შემთხვევებში, მესამე პირებისთვის გადაცემა შეიძლება გახდეს საჭირო სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, თუ არსებობს ეჭვი, რომ ვიდეოჩანაწერზე ასახულია დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტი, მისი დათვალიერების ინტერესი უჩნდება საქმის მწარმოებელ ორგანოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების მიზნებისთვის.

დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ვიდეოთვალთვალს, ვალდებულია ჩანაწერების დათვალიერება და მესამე პირისთვის (მათ შორის, პოლიციისთვის) გამჟღავნება განახორციელოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით.[23]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ვიდეოჩანაწერის მოპოვებისა და გამჟღავნებისთვის კანონმდებლობით დადგენილია მაღალი სტანდარტი.[24]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ჩანაწერების საგამოძიებო ორგანოსთვის გამჟღავნებისას ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

- *დაუშვებელია* სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერის გადაცემა, თუ მან ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელ დაწესებულებას არ წარუდგინა სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება

[23] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი.*
[24] *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 136-ე მუხლი.*

ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერების გადასაცემად არ არის საკმარისი მათი ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნა;

- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერის დათვალიერების უფლების მიცემა, თუ მან ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელ დაწესებულებას არ წარუდგინა სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება ჩანაწერის დათვალიერების თაობაზე;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის იმ ჩანაწერის გადაცემა, რომელიც არ არის მითითებული სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის დადგენილებაში. შესაბამისად, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელ დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს გადასცემს აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული პერიოდის ჩანაწერს და გადაცემული ჩანაწერის ხანგრძლივობა არ აჭარბებს განჩინებით/დადგენილებით განსაზღვრულ პერიოდს;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებამ მიანიჭოს იმ პერიოდის ჩანაწერების დათვალიერებისა და გადახვევის უფლება, რაც არ არის მითითებული სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის დადგენილებაში. ასევე, დაუშვებელია ამ ჩანაწერებიდან კონკრეტული გამოსახულების ამსახველი მონაკვეთების ფოტოგადაღება ან/და ვიდეოგადაღება მობილური ტელეფონისა თუ სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში ვიდეოჩანაწერის მოპოვებისა და გამჟღავნებისათვის კანონმდებლობით არ არის დადგენილი ისეთივე მაღალი სტანდარტი, როგორც სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შემთხვევაში.[25]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს ჩანაწერების მოპოვების წესისაგან განსხვავებით, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებამ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დროს, ჩანაწერები შესაძლოა გასცეს ადმინისტრაციული (მათ შორის, სამართალდამცავი) ორგანოს წარმომადგენელს წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში ჩანაწერების ადმინისტრაციული (მათ შორის, საგამოძიებო) ორგანოსთვის გამჟღავნებისას ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

- *ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩანაწერის გამოთხოვის შესახებ წარდგენილი უნდა იყოს ოფიციალური წერილობითი მიმართვა, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით;*

[25] *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 236-ე მუხლი.*

- *ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერის გამოთხოვის სამართლებრივი საფუძველი (მიზეზი, მიზანი) და ინფორმაცია ჩანაწერის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში მტკიცებულებად საჭიროების თაობაზე;*
- *ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერის საჭირო პერიოდი.*

ჩანაწერების გამჟღავნების (მესამე პირებისთვის გადაცემის) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ ჩანაწერზე არსებულ მესამე პირთა ინტერესები და მათი იდენტიფიცირების შესაძლებლობა. ასეთი საჭიროების არარსებობისას, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ჩანაწერზე მესამე პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა (მაგალითად, დაფაროს გამოსახულება).

კანონმდებლობა მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს მონაცემთა გამჟღავნების ყველა შემთხვევის აღრიცხვას. ამ მიზნით, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა, ჩანაწერების გამჟღავნებისას უნდა აღრიცხონ შემდეგი ინფორმაცია:

- *რომელი ჩანაწერის გამჟღავნება მოხდა. კერძოდ, ვიდეოჩანაწერების გაცემისას უნდა აღირიცხოს რომელ თარიღში გადაღებული და რა პერიოდის ამსახველი ჩანაწერის გამჟღავნება განხორციელდა (მაგალითად, 2021 წლის 10:00 საათიდან 13:00 საათამდე, № ... კამერის ჩანაწერი);*
- *ვისთვის მოხდა ჩანაწერის გამჟღავნება (მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს შემთხვევაში უნდა მიეთითოს აღნიშნული უწყების სახელი დეტალურად - შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეხუთე განყოფილება, გამომძიებელი პეტრე პავლიაშვილი);*
- *ჩანაწერის გამჟღავნების თარიღი;*
- *ჩანაწერის გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი - ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 ან/და მე-6 მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტი (მაგალითად, ჩანაწერის გადაცემა მოხდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად).*

10. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

ყველა პირი, რომელიც დაექვემდებარა კერძო და საჯარო დაწესებულებებში ვიდეოთვალთვალს, უფლებამოსილია:

- *გამოითხოვოს შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ასლი;*
- *მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა და გასწორება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის დარღვევით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვინ ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვის გადაეცა მის შესახებ ჩანაწერი, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.*

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.[26]

VI. ვიდეოთვალთვალი სამართალდამცავი ორგანოების მიერ

სამართალდამცავი ორგანოები ვიდეოთვალთვალს ახორციელებენ სხვადასხვა მიზეზითა და მიზნით:

- *სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ საკუთარი შენობების ვიდეოთვალთვალს. ასეთ დროს სამართალდამცავმა ორგანოებმა ვიდეოთვალთვალის უნდა განახორციელონ იგივე წესების დაცვით, როგორც სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებების შემთხვევაში (ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხილეთ რეკომენდაციის V თავი - ვიდეოთვალთვალი საჯარო და კერძო დაწესებულებებში);*
- *სამართალდამცავი ორგანოები ყოველდღიურ რეჟიმში ვიდეოთვალთვალს ახორციელებენ დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი დარღვევის აღკვეთისა და ასევე სხვა ფუნქციების განსახორციელებლად, როგორც ვიდეოსათვალთვალო სისტემის, ასევე სხვა ტექნიკური მოწყობილობების - მაგალითად, სამხრე ვიდეოკამერების - მეშვეობით.*

[26] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 24-ე მუხლი.*

პოლიციას უფლებამოსილია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, ფორმის ტანსაცმელზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, გზასა და შენობების გარე პერიმეტრზე კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამონტაჟოს/განათავსოს ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკა. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოები ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ახორციელებენ ვიდეოგადაღებას კონკრეტული დანაშაულების გამოძიების დროს ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში.

სამართალდამცავი ორგანოები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ვიდეოსათვალთვალო სისტემებისა და სხვა ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ვინაიდან მათ მიერ გროვდება დიდი მოცულობით სენსიტიური მონაცემები.

ვიდეოსათვალთვალო სისტემის განთავსებამდე თუ სხვა ტექნიკური მოწყობილობების საშუალებით ვიდეოგადაღების პროცესის დანერგვამდე, მონაცემთა დამმუშავებელმა სამართალდამცავმა ორგანომ უნდა:

- *განსაზღვროს რა მიზანს ემსახურება დაგეგმილი ვიდეოგადაღება;*
- *შეაფასოს რამდენად აუცილებელია აღნიშნული მიზნის მისაღწევად ვიდეოგადაღების გზით მონაცემთა დამუშავება;*
- *შეაფასოს მონაცემთა დამუშავების ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე, რათა წინასწარ გააანალიზოს და მინიმუმამდე შეამციროს ვიდეოთვალთვალის განხორციელების შედეგად თანმოსალოდნელი რისკები;*
- *გამოიყენოს დაცული ვიდეოსათვალთვალო სისტემები და მიიღოს ზომები დამუშავებული მონაცემების უსაფრთხოებისთვის;*
- *განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო სისტემისა თუ სხვა ტექნიკური საშუალებების მახასიათებლები, ვიდეოკამერების რაოდენობა, ვიდეოკამერების განთავსების ადგილები და ხედვის არეალი;*
- *განსაზღვროს ვიდეოთვალთვალის პერიოდი და ჩანაწერების შენახვის ვადა;*
- *გაიაროს კონსულტაცია დაწესებულების მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან.*

1. ე. წ. „ჭკვიანი კამერების“ საშუალებით ვიდეოთვალთვალი

პოლიცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისთვის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი დარღვევის აღკვეთის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს. პრევენციული ღონისძიების ერთ-ერთი სახეა ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის გამოყენება. კერძოდ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პოლიცია უფლებამოსილია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, გზასა და შენობის გარე

პერიმეტრზე დაამონტაჟოს/განათავსოს ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკა. ანუ, კანონმდებლობა პოლიციას ანიჭებს, ავტომატური ვიდეოტექნიკის, მათ შორის, ნომრის ამომცნობი ე. წ. „ჭკვიანი კამერების“ (შემდგომში - ჭკვიანი კამერა) საშუალებით, მონაცემების დამუშავების უფლებამოსილებას.

ჭკვიანი კამერები ფუნქციონირებს სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობი ვიდეოანალიტიკური პროგრამის მეშვეობით, რომელიც ავტომატურად აფიქსირებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირების სხვადასხვა ეტაპზე მონაცემთა დამმუშავებელი სხვადასხვა ფორმით (მათ შორის, შეგროვების, ჩაწერის, ვიდეოჩაწერის, გამოყენების გზით) ამუშავებს სხვადასხვა მონაცემებს (მაგალითად, მუშავდება ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი, რაც იძლევა მანქანის მფლობელის ვინაობის დადგენის საშუალებას; ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ (წითელ შუქნიშანზე გავლა, სიჩქარის გადაჭარბება) მონაცემები; კონკრეტულ პირთა გადაადგილების შესახებ ინფორმაცია). ეს მონაცემები, თავის მხრივ, აისახება ასევე სხვადასხვა მონაცემთა ბაზ(ებ)აში.

ჭკვიანი კამერების მეშვეობით ვიდეოჩაწერისას, მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დაფიქსირებისა და ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების მიზნით მონაცემთა დამუშავების თითოეული ეტაპის ნორმატიულად რეგულირება და პროცესის რეგულაციის შესაბამისად წარმართვა, რაც, საერთო ჯამში, უზრუნველყოფს ერთიანი პროცესის გამართულ ფუნქციონირებას.

ე. წ. „ჭკვიანი კამერების“ საშუალებით ვიდეოთვალთვალი კანონიერია თუ:		
ვიდეოთვალთვალი ხორციელდება კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად	• დანაშაულის პრევენცია, პირის უსაფრთხოება, საკუთრების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვა; • საგზაო მოძრაობის წესების უზრუნველყოფა; • საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის თავიდან აცილება, აღმოჩენა, აღკვეთა და საზღვარზე პირთა უსაფრთხოების დაცვა; • სასაზღვრო-გამტარ პუნქტში პირისა და ქონებისათვის შექმნილი საფრთხის დროულად გამოვლენა.	✓
ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი და ამ ფორმით	• ნიშანი განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილზე; • სასურველია, ნიშანი შეიცავდეს მონაცემებს - ვინ, რა ფორმით და რა მასშტაბით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს;	✓

ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტი	○ ნიშანზე არსებული წარწერა უნდა იყოს აღქმადი და გათვალისწინებული იყოს იმ პირთა უმრავლესობის სასაუბრო ენა, რომლებიც ექცევიან მონიტორინგის ქვეშ.	
განსაზღვრულია ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა	○ განსაზღვრულია შენახვის გონივრული და ვიდეოჩანაწერების მიზნის (საჭიროების) ადეკვატური ვადა; ○ უზრუნველყოფილია ვიდეოჩანაწერების წაშლა შენახვის ვადის გასვლისთანავე.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა უსაფრთხოება	○ სასურველია, შემუშავებული იყოს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ვიდეოთვალთვალის წესები და უსაფრთხოების ზომები; ○ უზრუნველყოფილია ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება; ○ ჩანაწერებზე წვდომა მინიჭებული აქვთ პირთა შეზღუდულ წრეს, მათი ფუნქციებისა და სამსახურებრივი საჭიროების მხედველობაში მიღებით; ○ სისტემაზე წვდომა წარმოებს მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით; ○ აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი); ○ მიღებულია ზომები ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით; ○ პერიოდულად მოწმდება სისტემაზე წვდომის შემთხვევები და რეაგირება ხდება არასანქცირებული წვდომის ფაქტებზე.	✓
ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემისას დაცულია კანონი	○ ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემა წარმოებს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში; ○ აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემის ყველა შემთხვევა.	✓
	უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის შემდეგი უფლებების რეალიზება: ○ ვიდეოჩანაწერის ასლის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის წაშლის, დაბლოკვის და გასწორების მოთხოვნის უფლება;	

უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზება	○ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის სხვისთვის გადაცემის (საფუძვლის, მიზნის) შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.	✓

1.1. ვიდეოთვალთვალის მიზნები

ჭკვიანი კამერების მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია შემდეგი მიზნების მისაღწევად:[27]

- *დანაშაულის პრევენცია, პირის უსაფრთხოება, საკუთრების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვა;*
- *საგზაო მოძრაობის წესების უზრუნველყოფა;*
- *საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის თავიდან აცილება, აღმოჩენა, აღკვეთა და საზღვარზე პირთა უსაფრთხოების დაცვა;*
- *სასაზღვრო-გამტარ პუნქტში პირისა და ქონებისათვის შექმნილი საფრთხის დროულად გამოვლენა.*

1.2. ვიდეოთვალთვალის შესახებ გაფრთხილება

ჭკვიანი კამერების მეშვეობით მონაცემების დამუშავებისას ვიდეოგადაღება ხდება მონაცემთა სუბიექტების ნების მიუხედავად. ამიტომ, მონაცემთა ამ წესით დამუშავების კანონიერებისთვის, აუცილებელია მონაცემთა სუბიექტების სათანადო ინფორმირება.[28]

წესები, რომლებიც უნდა იყოს დაცული სამართალდამცავი ორგანოს მიერ ჭკვიანი კამერების მეშვეობით ვიდეოჩაწერის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსებისას:

- *ვიდეოსამეთვალყურეო კამერა არ უნდა დამონტაჟდეს და ვიდეომონიტორინგი არ უნდა დაიწყოს გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსების გარეშე;*
- *გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ აღქმადი იყოს შესაბამის სივრცეში მოხვედრილი ნებისმიერი პირისთვის;*

[27] *„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 27-ე მუხლის პირველი პუნქტი.*
[28] *„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.*

- *გამაფრთხილებელი ნიშანზე არსებული წარწერა, მიზანშეწონილია, შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: რომელი დაწესებულება (დაწესებულების დასახელება) ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, მონიტორინგის ფორმა (მიმდინარეობს ვიდეო თუ ვიდეო-აუდიომონიტორინგი), მონიტორინგის მასშტაბი (მაგალითად, ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს 24 საათიან რეჟიმში);*
- *გამაფრთხილებელი ნიშანზე არსებული წარწერა უნდა იყოს აღქმადი (მაგალითად, გასათვალისწინებელია წარწერის ზომა, ფერი, განთავსების ადგილი);*
- *ინფორმაცია გამაფრთხილებელ ნიშანზე შეიძლება გამოიხატოს ტექსტის ან/და სიმბოლოების სახით. ტექსტის გამოყენების შემთხვევაში გასათვალისწინებელია იმ პირთა უმრავლესობის სასაუბრო ენა, რომლებიც ექცევიან მონიტორინგის ქვეშ. შესაძლებელია რამდენიმე ენის გამოყენებაც;*
- *გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა განთავსდეს კამერის სიახლოვეს.*

მხოლოდ ზემოაღნიშნული წესების დაცვის შემთხვევაში ითვლება მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებულად მისი მონაცემების დამუშავების თაობაზე.

1.3. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

ყველა პირი, რომელიც დაექვემდებარა ჭკვიანი კამერების მეშვეობით ვიდეოთვალთვალს, უფლებამოსილია:

- *გამოითხოვოს შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ასლი;*
- *მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა და გასწორება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის დარღვევით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვინ ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვის გადაეცა მის შესახებ ჩანაწერი, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.*

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.[29]

[29] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 24-ე მუხლი.*

2. სამხრე კამერის საშუალებით ვიდეოგადაღება

პოლიცია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფორმის ტანსაცმელზე დაამონტაჟოს/განათავსოს ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკა (შემდგომში - სამხრე კამერა).

სამხრე კამერის საშუალებით არ ხდება უწყვეტი ვიდეოთვალთვალი. როგორც წესი, მისი საშუალებით ხდება კონკრეტული ფაქტების დაფიქსირება. კერძოდ, სამხრე კამერების გამოყენებით, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები აფიქსირებენ მონაცემთა სუბიექტთან კომუნიკაციის პროცესს, პოლიციის პრევენციული ღონისძიებისა ან/და სამართალდარღვევაზე რეაგირების პროცესს და ა.შ.. სამხრე კამერების მეშვეობით გადაღებული ვიდეოჩანაწერი, სამართალდამცავ ორგანოსა და კონკრეტულ პირს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად, რომლითაც დადასტურდება კონკრეტული ფაქტების არსებობა/არარსებობა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრე კამერის მეშვეობით მოიპოვება, როგორც ვიდეო გამოსახულება, ასევე, აუდიომასალა.

თუ პოლიციის მუშაკი აღჭურვილია სამხრე კამერით, დაუშვებელია, დამატებით პირად სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ვიდეოგადაღება.

სამხრე კამერის საშუალებით ვიდეოთვალთვალი კანონიერია თუ:		
ვიდეოთვალთვალი ხორციელდება კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად	○ დანაშაულის პრევენცია, პირის უსაფრთხოება, საკუთრების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვა; ○ საგზაო მოძრაობის წესების უზრუნველსაყოფად; ○ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის თავიდან აცილება, აღმოჩენა, აღკვეთა და საზღვარზე პირთა უსაფრთხოების დაცვა; ○ სასაზღვრო-გამტარ პუნქტში პირისა და ქონებისათვის შექმნილი საფრთხის დროულად გამოვლენა.	✓
ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება	პოლიციის მუშაკის მიერ უზრუნველყოფილია მოქალაქის წინასწარი ინფორმირება სამხრე კამერით ვიდეო-აუდიო ჩაწერის დაწყების თაობაზე.	

		✓
განსაზღვრულია ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა	- განსაზღვრულია ვიდეოჩანაწერის შენახვის გონივრული და ვიდეოჩანაწერების მიზნის (საჭიროების) ადეკვატური ვადა; - უზრუნველყოფილია ვიდეოჩანაწერების წაშლა შენახვის ვადის გასვლისთანავე.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა უსაფრთხოება	- სასურველია, შემუშავებული იყოს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ვიდეოთვალთვალის წესები და უსაფრთხოების ზომები; - უზრუნველყოფილია ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება; - ჩანაწერებზე წვდომა მინიჭებული აქვთ პირთა შეზღუდულ წრეს, მათი ფუნქციებისა და სამსახურებრივი საჭიროების მხედველობაში მიღებით; - სისტემაზე წვდომა წარმოებს მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პროლის საშუალებით; - აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი); - მიღებულია ზომები ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით; - პერიოდულად მოწმდება სისტემაზე წვდომის შემთხვევები და რეაგირება ხდება არასანქცირებული წვდომის ფაქტებზე.	✓
ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემისას დაცულია კანონი	- ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემა წარმოებს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში; - აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემის ყველა შემთხვევა.	✓
	უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის შემდეგი უფლებების რეალიზება: - ვიდეოჩანაწერის ასლის მიღების უფლება; - ვიდეოჩანაწერის წაშლის, დაბლოკვის და გასწორების მოთხოვნის უფლება;	

უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზება	○ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის სხვისთვის გადაცემის (საფუძვლის, მიზნის) შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.	✓

2.1. ვიდეოთვალთვალის მიზნები

სამხრე კამერის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია შემდეგი მიზნების მისაღწევად:[30]

- *დანაშაულის პრევენცია, პირის უსაფრთხოება, საკუთრების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვა;*
- *საგზაო მოძრაობის წესების უზრუნველსაყოფად;*
- *საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის თავიდან აცილება, აღმოჩენა, აღკვეთა და საზღვარზე პირთა უსაფრთხოების დაცვა;*
- *სასაზღვრო-გამტარ პუნქტში პირისა და ქონებისათვის შექმნილი საფრთხის დროულად გამოვლენა.*

2.2. სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების შესახებ გაფრთხილება

პოლიციელის სამხრე ვიდეოკამერით აღჭურვა არ ნიშნავს იმას, რომ მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებულია ვიდეოგადაღების თაობაზე. პოლიციის მუშაკი ვალდებულია, სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში, აცნობოს მოქალაქეს სამხრე კამერით ვიდეო-აუდიო ჩაწერის დაწყების თაობაზე.[31]

---

[30] *„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 27-ე მუხლის პირველი პუნქტი.*

[31] *საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანებით დამტკიცებული - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქცია, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.*

2.3. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

ყველა პირი, რომელიც დაექვემდებარა სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით ვიდეოთვალთვალს, უფლებამოსილია:

- *გამოითხოვოს შესაბამისი აუდიო-ვიდეოჩანაწერის ასლი;*
- *მოითხოვოს აუდიო-ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა და გასწორება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის დარღვევით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვინ ახორციელებს აუდიო-ვიდეოთვალთვალს, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვის გადაეცა მის შესახებ აუდიო-ვიდეოჩანაწერი, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.*

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.[32]

3. ვიდეოთვალთვალი უკონტაქტო პატრულირებისას

პოლიცია უფლებამოსილია, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, წინასწარ განსაზღვრულ საგზაო მონაკვეთზე, თავის სარგებლობაში არსებულ შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაამონტაჟოს/განათავსოს ფოტო და ვიდეოტექნიკა და არასტაციონარული (მოძრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყო. უკონტაქტო პატრულირებისას, ხდება ქალაქის გზებსა და ქუჩებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება.[33]

პოლიცია, უკონტაქტო პატრულირებისას, სხვადასხვა ეტაპზე ახდენს მონაცემების სხვადასხვა ფორმით დამუშავებას, რაც მას აძლევს საკმაოდ მოცულობითი მონაცემების ფლობისა და განკარგვის შესაძლებლობას.

უკონტაქტო პატრულირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ხოლო პერიმეტრის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს

---

[32] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 24-ე მუხლი.*

[33] *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 118[1], 118[2], 118[3], 120-ე, 122-ე, 123-ე და 125-ე მუხლები.*

საგზაო მონაკვეთზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, საპატრულო ეკიპაჟების, პოლიციის სარგებლობაში არსებული სტაციონარული ვიდეოსათვალთვალო სისტემების რაოდენობა და მათი განლაგება.

უკონტაქტო პატრულირების განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს ეკრძალება:

- *განსაზღვრული სამოქმედო ტერიტორიიდან და მარშრუტიდან თვითნებური გადახვევა;*
- *სამართალდამრღვევთან კომუნიკაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება იმწუთიერი და რეალური საფრთხე;*
- *შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში ჩაწერა.*

უკონტაქტო პატრულირებისას ვიდეოთვალთვალი კანონიერია თუ:		
ვიდეოთვალთვალი ხორციელდება კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.	✓
ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება	ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი განთავსებულია შესაბამისი საგზაო მონაკვეთის შესასვლელსა (შესასვლელებსა) და გამოსასვლელში (გამოსასვლელებში) თვალსაჩინო ადგილას.	✓
განსაზღვრულია ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა	- განსაზღვრულია ვიდეოჩანაწერის შენახვის გონივრული და ვიდეოჩანაწერების მიზნის (საჭიროების) ადეკვატური ვადა; - უზრუნველყოფილია ვიდეოჩანაწერების წაშლა შენახვის ვადის გასვლისთანავე.	✓
	- სასურველია შემუშავებული იყოს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ვიდეოთვალთვალის წესები და უსაფრთხოების ზომები; - უზრუნველყოფილია ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება; - ჩანაწერებზე წვდომა მინიჭებული აქვთ პირთა შეზღუდულ წრეს, მათი ფუნქციებისა და	

უზრუნველყოფილია მონაცემთა უსაფრთხოება	სამსახურებრივი საჭიროების მხედველობაში მიღებით; ○ სისტემაზე წვდომა წარმოებს მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით; ○ აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი); ○ მიღებულია ზომები ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით; ○ პერიოდულად მოწმდება სისტემაზე წვდომის შემთხვევები და რეაგირება ხდება არასანქცირებული წვდომის ფაქტებზე.	✓
ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემისას დაცულია კანონი	○ ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემა წარმოებს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში; ○ აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემის ყველა შემთხვევა.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზება	უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის შემდეგი უფლებების რეალიზება: ○ ვიდეოჩანაწერის ასლის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის წაშლის, დაბლოკვის და გასწორების მოთხოვნის უფლება; ○ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის სხვისთვის გადაცემის (საფუძვლის, მიზნის) შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.	✓

3.1. ვიდეოთვალთვალის მიზანი

უკონტაქტო პატრულირების დროს პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

3.2. უკონტაქტო პატრულირებისას მონაცემთა დამუშავების შესახებ გაფრთხილება

უკონტაქტო პატრულირების ფარგლებში ვიდეოგადაღების მეშვეობით მონაცემთა დამუშავების შემთხვევებში, აუცილებელია, მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება მათი მონაცემების დამუშავების თაობაზე. კერძოდ, უკონტაქტო პატრულირებისას გამაფრთხილებელი ინფორმაცია უნდა განთავსდეს შესაბამისი საგზაო მონაკვეთის შესასვლელსა (შესასვლელებსა) და გამოსასვლელში (გამოსასვლელებში) თვალსაჩინო ადგილას შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის მეშვეობით.[34]

ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის შესაძლო გამოყენების შესახებ შესაბამისი საგზაო მონაკვეთის შესასვლელში და გამოსასვლელში განსათავსებელი გამაფრთხილებელი ნიშნების მაგალითები:

3.3. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

ყველა პირი, რომელიც დაექვემდებარა უკონტაქტო პატრულირების ფარგლებში ვიდეოჩაწერას, უფლებამოსილია:

- *გამოითხოვოს შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ასლი;*
- *მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა და გასწორება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის დარღვევით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვინ ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვის გადაეცა მის შესახებ ვიდეოჩანაწერი, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*

---

[34] *საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №328 ბრძანებით დამტკიცებული - პოლიციის სარგებლობაში არსებულ შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის, არასტაციონარული (მოძრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყოს განთავსებისა და გამოყენების, აგრეთვე მონაცემთა დამუშავების წესი, მე-9 მუხლი.*

- *მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.*

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.[35]

4. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში ვიდეოთვალთვალი

საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უფლებით აღჭურვილ სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ ფარული ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის უფლებამოსილება. ფარული ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერა, მისი ხასიათიდან და უფლებაში ჩარევის ინტენსივობიდან გამომდინარე, სრულად ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.

ფარული ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერა უნდა განხორციელდეს საქართველო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.[36] ფარული ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შესახებ სასამართლოს განჩინება და პროკურორის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შესახებ, უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტებისა (ვის მიმართ ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება) და მონაცემებს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების პერიოდის (დაწყებისა და დასრულების წელი, თვე, რიცხვი და საათი) შესახებ.

ფარული ვიდეოჩაწერა ან ვიდეო-აუდიოჩაწერა კანონიერია თუ:		
ფარული ვიდეოჩაწერა ან ვიდეო-აუდიოჩაწერა ხორციელდება კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად	- გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება; - დანაშაულის პრევენცია; - საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; - სხვა პირთა უფლებების დაცვა.	✓

[35] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 24-ე მუხლი.*
[36] *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, XVI[1] თავი.*

ფარული ვიდეოჩაწერა ან ვიდეო-აუდიოჩაწერა ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით	- სახეზეა ფარული ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შესახებ სასამართლოს განჩინება ან; - სახეზეა პროკურორის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შესახებ.	✓
ფარული ვიდეოჩაწერა ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით	კოდექსით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფილია იმ პირის ინფორმირება, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება.	✓
უზრუნველყოფილია ფარული ვიდეოჩანაწერის ან ვიდეო-აუდიოჩანაწერის განადგურება კანონით დადგენილ ვადებში და წესით	უზრუნველყოფილია ფარული ვიდეოჩანაწერის ან ვიდეო-აუდიოჩანაწერის განადგურება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში და განსაზღვრული წესით.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა უსაფრთხოება	- სასურველია, შემუშავებული იყოს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ფარული ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შედეგად მოპოვებული მასალის შენახვის წესები და უსაფრთხოების ზომები; - ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შედეგად მოპოვებულ მასალაზე წვდომა მინიჭებული აქვთ მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ პირებს; - აღირიცხება ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შედეგად მოპოვებულ მასალაზე წვდომის ყველა ფაქტი (ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი); - მიღებულია ზომები ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შედეგად მოპოვებულ მასალაზე ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით; - პერიოდულად მოწმდება ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შედეგად მოპოვებულ მასალაზე წვდომის შემთხვევები და რეაგირება ხდება არასანქცირებული წვდომის ფაქტებზე.	✓
ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემისას დაცულია კანონი	- ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შედეგად მოპოვებული მასალის მესამე პირებისთვის გადაცემა წარმოებს მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;	✓

	○ აღირიცხება ვიდეო/აუდიოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემის ყველა შემთხვევა.	
უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზება	უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის შემდეგი უფლებების რეალიზება: ○ ვიდეოჩანაწერის ასლის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის წაშლის, დაბლოკვის და გასწორების მოთხოვნის უფლება; ○ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის სხვისთვის გადაცემის (საფუძვლის, მიზნის) შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.	✓

4.1. ფარული ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის მიზანი

ფარული ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის მიზანია გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება, დანაშაულის პრევენცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სხვა პირთა უფლებების დაცვა. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

4.2. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, მონაცემთა სუბიექტები (პირები, ვინც ექვემდებარებიან ფარულ ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერას) არ ფლობენ ინფორმაციას მათი მონაცემების დამუშავების თაობაზე, ვინაიდან ასეთი საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია და ასეთი საქმიანობის ამსახველი მონაცემების, დოკუმენტების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ პირებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ფარული ვიდეოჩაწერის ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შესახებ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების სპეციალურ წესს. კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება. გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის ეცნობოს პირს მის

მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ, იღებს პროკურორი. თუ პროკურორი გადაწყვეტს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 12 თვის ვადაში პირს არ აცნობოს მის მიმართ ამ მოქმედების ჩატარების შესახებ, იგი (პროკურორი) ვალდებულია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისათვის მიწოდების ვადის არაუმეტეს 12 თვით გაგრძელების თაობაზე.[37]

მონაცემთა სუბიექტს (პირს, რომელსაც მიეწოდა ინფორმაცია მის მიმართ განხორციელებული ფარული ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შესახებ) ასეთი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად გადაეცემა მოსამართლის განჩინება მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ის მასალა, რომლის საფუძველზედაც მიიღო მოსამართლემ მისი ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერის შესახებ და განემარტება აღნიშნული განჩინების გასაჩივრების უფლება

მონაცემთა სუბიექტს (პირი, რომელიც დაექვემდებარა ფარულ ვიდეო ან ვიდეო-აუდიოჩაწერას) უფლება აქვს ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის მოთხოვნას მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

5. ვიდეოჩანაწერების შენახვა

მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი პრინციპია მონაცემების გონივრული ვადით შენახვა. როგორც უკვე აღინიშნა, სამართალდამცავი ორგანოები, სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით (სტაციონარული ვიდეოკამერები, სამხრე ვიდეოკამერები და ა.შ.) ახორციელებენ ვიდეოთვალთვალს ან/და კონკრეტული ფაქტების ვიდეოჩაწერას. თითოეულ შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის მიზნები განსხვავდება ერთმანეთისგან საჭიროებიდან გამომდინარე. სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით მოპოვებული მონაცემების, უკონტაქტო პატრულირების ფარგლებში მოპოვებული ჩანაწერებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის შენახვის ვადები განსაზღვრულია კანონით. კერძოდ, სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით მოპოვებული მონაცემების შენახვის ვადები დადგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №328 ბრძანებით, უკონტაქტო პატრულირების ფარგლებში მოპოვებული მონაცემების ვადებს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან

[37] *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143[3] და 143[9] მუხლები.*

საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანება, ხოლო ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში მოპოვებული მონაცემებისას - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თუმცა, სამწუხაროდ სამართალდამცავ ორგანოებს ყოველთვის არ აქვთ განსაზღვრული ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადები და სისტემის მოცულობის გათვალისწინებით, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ არსებული ვიდეოჩანაწერები ავტომატურად იშლება და ახალი ჩანაწერები ანაცვლებს ძველს. მსგავსი პრაქტიკა არ შეესაბამება კანონმდებლობას.

სამართალდამცავმა ორგანომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, წინასწარ უნდა განისაზღვროს ვიდეოჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა და აღნიშნული ვადის გასვლისთანავე უნდა უზრუნველყოს მათი წაშლა!

ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა უნდა განისაზღვროს იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზანს ემსახურება ვიდეოთვალთვალი და ამ მიზნის მისაღწევად რამდენი ხანი შეიძლება იყოს საჭირო ვიდეოჩანაწერის შენახვა.

ვიდეოჩანაწერები შენახული უნდა იყოს უსაფრთხოდ, ისე რომ შეუძლებელი იყოს არაუფლებამოსილ პირთა მხრიდან მათზე წვდომა - მათი დათვალიერება, გადმოწერა, წაშლა, არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და ა.შ.

6. ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოება

ვიდეოთვალთვალის დროს მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება პასუხისმგებლობა მონაცემთა უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი სამართალდამცავი ორგანოს მიერ, ვიდეოთვალთვალის სისტემაში შენახული პერსონალური მონაცემების ამსახველი ვიდეო/აუდიო ჩანაწერების უსაფრთხოებისთვის, მიღებულ უნდა იქნეს ქმედითი და ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩანაწერებში ასახული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნება, მათი არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და სხვა. მონაცემების უსაფრთხოების საკითხი კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართალდამცავი ორგანოების შემთხვევაში, ვინაიდან ისინი ამუშავებენ დიდი მოცულობის სენსიტიურ მონაცემებს, რომლებზეც არასანქცირებული წვდომა დიდ საფრთხეს ქმნის ადამიანის უფლებებისთვის.

მონაცემთა დამმუშავებელმა სამართალდამცავმა ორგანომ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით:

- *უნდა უზრუნველყოს ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება. კერძოდ, ვიდეოთვალთვალის სისტემა, მისი ტექნიკური აღჭურვილობა (DVR მოწყობილობა, მონიტორები და სხვა) უნდა განათავსოს დაცულ ოთახში, სადაც დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები;*
- *ჩანაწერებზე წვდომა მიანიჭოს პირთა განსაზღვრულ წრეს. წვდომის დონისა და ჩანაწერებზე მათი უფლებამოსილების ფარგლების (ვინ რა ჩანაწერს ხედავს) განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამშრომელთა ფუნქციები და ჩანაწერებზე მათი წვდომის სამსახურებრივი საჭიროება;*
- *ჩანაწერებზე უფლებამოსილ პირთა ვიდეოთვალთვალის სისტემაზე დაშვება განახორციელოს მხოლოდ მათზე განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და ინდივიდუალური პაროლის საშუალებით. დაუშვებელია ჩანაწერებზე წვდომა ერთი და იგივე მომხმარებლის სახელითა და პაროლით ჰქონდეს 1-ზე მეტ პირს;*
- *უზრუნველყოს რეალურ რეჟიმში ვიდეოთვალთვალისას, მონიტორზე არსებული ვიდეოგამოსახულების მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის ხელმისაწვდომობა;*
- *აღრიცხოს ვიდეოთვალთვალის სისტემებში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მონაცემთა მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება. კერძოდ, ელექტრონულად სრულად უნდა აღრიცხოს (ე. წ. „ლოგირება“) ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი;*
- *მიიღოს ზომები სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის, ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით (მაგალითად, ე.წ. ჰაკერული თავდასხმა);*
- *პერიოდულად შეამოწმოს სისტემაზე წვდომის შემთხვევები და რეაგირება მოახდინოს არასანქცირებული წვდომის ფაქტებზე;*
- *შექმნას ჩანაწერების შენახვისთვის განკუთვნილი ფაილური სისტემა. ჩანაწერების (სურათებისა/ხმის) გარდა, სისტემა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ;*
- *შეიმუშაოს შიდა დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ვიდეოთვალთვალის პროცესი და წესები, სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომები, სისტემის ფუქნციონირების, მასზე წვდომის საკითხები, სისტემის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემები და ა. შ. მსგავსი შიდა რეგულაციები ხელს უწყობს ვიდეოთვალთვალის კანონშესაბამისად განხორციელებას.*

7. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გამჟღავნება

სამართალდამცავი ორგანოს მიერ შენახულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა, მათი დათვალიერება და რიგ შემთხვევებში, მესამე პირებისთვის გადაცემა შეიძლება გახდეს საჭირო სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, თუ არსებობს ეჭვი, რომ ვიდეოჩანაწერზე ასახულია დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტი, მისი დათვალიერების ინტერესი უჩნდება საქმის მწარმოებელ ორგანოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების მიზნებისთვის.

დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ვიდეოთვალთვალს, ვალდებულია ჩანაწერების დათვალიერება და მესამე პირისთვის (მათ შორის, თავისივე სისტემის დანაყოფისთვის) გამჟღავნება განახორციელოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით.[38]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ვიდეოჩანაწერის მოპოვებისა და გამჟღავნებისთვის კანონმდებლობით დადგენილია მაღალი სტანდარტი.[39]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ჩანაწერების საგამოძიებო ორგანოსთვის (მათ შორის, სისტემის შიგნით სტრუქტურულ დანაყოფებს შორის ვიდეოჩანაწერების) გამჟღავნებისას ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერის გადაცემა, თუ მან არ წარმოადგინა სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერების გადასაცემად არ არის საკმარისი მათი ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნა;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერის დათვალიერების უფლების მიცემა, თუ მან არ წარმოადგინა სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება ჩანაწერის დათვალიერების თაობაზე;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის იმ ჩანაწერის გადაცემა, რომელიც არ არის მითითებული სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის დადგენილებაში. შესაბამისად, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს გადასცემს აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული პერიოდის ჩანაწერს და გადაცემული ჩანაწერის ხანგრძლივობა არ აჭარბებს განჩინებით/დადგენილებით განსაზღვრულ პერიოდს;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებამ მიანიჭოს იმ პერიოდის ჩანაწერების

---

[38] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი.
[39] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 136-ე მუხლი.

დათვალიერებისა ან/და გადახვევის უფლება, რაც არ არის მითითებული სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის დადგენილებაში. ასევე, დაუშვებელია ამ ჩანაწერებიდან კონკრეტული გამოსახულების ამსახველი მონაკვეთების ფოტოგადაღება ან/და ვიდეოგადაღება მობილური ტელეფონისა თუ სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში ვიდეოჩანაწერის მოპოვებისა და გამჟღავნებისათვის კანონმდებლობით არ არის დადგენილი ისეთივე მაღალი სტანდარტი, როგორც სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შემთხვევაში.[40]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს ჩანაწერების მოპოვების წესისაგან განსხვავებით, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებამ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დროს, ჩანაწერები შესაძლოა გასცეს ადმინისტრაციული (მათ შორის, სამართალდამცავი) ორგანოს წარმომადგენელს წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში ჩანაწერების ადმინისტრაციული (მათ შორის, საგამოძიებო) ორგანოსთვის გამჟღავნებისას ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

- *ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩანაწერის გამოთხოვის შესახებ წარდგენილი უნდა იყოს ოფიციალური წერილობითი მიმართვა, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით;*
- *ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერის გამოთხოვის სამართლებრივი საფუძველი (მიზეზი, მიზანი) და ინფორმაცია ჩანაწერის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში მტკიცებულებად საჭიროების თაობაზე;*
- *ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერის საჭირო პერიოდი.*

ჩანაწერების გამჟღავნების (მესამე პირებისთვის გადაცემის) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ ჩანაწერზე არსებულ მესამე პირთა ინტერესები და მათი იდენტიფიცირების შესაძლებლობა. ასეთი საჭიროების არარსებობისას, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ჩანაწერზე მესამე პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა (მაგალითად, დაფაროს გამოსახულება).

კანონმდებლობა მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს მონაცემთა გამჟღავნების ყველა შემთხვევის აღრიცხვას. ამ მიზნით, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა დაწესებულებებმა, ჩანაწერების გამჟღავნებისას უნდა აღრიცხონ შემდეგი ინფორმაცია:

---

[40] *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 236-ე მუხლი.*

- *რომელი ჩანაწერის გამჟღავნება მოხდა. კერძოდ, ვიდეოჩანაწერების გაცემისას უნდა აღირიცხოს რომელ თარიღში გადაღებული და რა პერიოდის ამსახველი ჩანაწერის გამჟღავნება განხორციელდა (მაგალითად, 2021 წლის 10:00 საათიდან 13:00 საათამდე, № ... კამერის ჩანაწერი);*
- *ვისთვის მოხდა ჩანაწერის გამჟღავნება (მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს შემთხვევაში უნდა მიეთითოს აღნიშნული უწყების სახელი დეტალურად - შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეხუთე განყოფილება, გამომძიებელი პეტრე პავლიაშვილი);*
- *ჩანაწერის გამჟღავნების თარიღი;*
- *ჩანაწერის გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი - ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 ან/და მე-6 მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტი (მაგალითად, ჩანაწერის გადაცემა მოხდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად).*

VI. ვიდეოთვალთვალი საცხოვრებელ შენობაში

ფიზიკური პირები სულ უფრო აქტიურად იყენებენ ვიდეოსათვალთვალო სისტემებს საცხოვრებელ შენობებში ქონებისა და პირის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად პირადი მიზნებისათვის დამუშავებაზე, როდესაც მათი დამუშავება დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობასთან, არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება[41] და შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი ვალდებულებები, თუმცა როდესაც ფიზიკური პირის მიერ ვიდეოთვალთვალი ცდება მის პირად სივრცეს და მოიცავს საჯარო სივრცეს (თუნდაც ნაწილობრივ), არ მიიჩნევა პირადი მიზნებით მონაცემთა დამუშავების შემთხვევად და ექცევა კანონმდებლობის რეგულირების სფეროში.[42] შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელ შენობაზე ვიდეოსათვალთვალო სისტემების განთავსებისას, დაცული უნდა იქნეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პირის უფლება, სხვა პირთა დაკვირვების გარეშე, თავისუფლად ისარგებლოს საკუთარი საცხოვრებელი სივრცით ისე, რომ არ მოხდეს მის საცხოვრებელ შენობაში მისი გადაადგილების, შემსვლელ და გამომსვლელ პირთა იდენტიფიცირება ან/და საცხოვრებელ შენობაში შესვლა-გასვლის დროის დაფიქსირება.

ვინაიდან საცხოვრებელი შენობის ვიდეოთვალთვალი, სხვის პირად ცხოვრებაში არამართლზომიერი ჩარევის რისკებს ზრდის, ფიზიკურმა პირებმა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას უნდა გაითვალისწინონ მეზობლების და მომიჯნავედ მცხოვრები პირების ინტერესების და მოიპოვონ მათი თანხმობა საცხოვრებელი შენობის შესასვლელის, სადარბაზოსა და საერთო სარგებლობის სივრცის ვიდეოთვალთვალის დროს.

საცხოვრებელ შენობაში ვიდეოსათვალთვალო სისტემის განთავსებამდე, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა:

- *განსაზღვროს რა მიზანს ემსახურება დაგეგმილი ვიდეოთვალთვალი;*
- *შეაფასოს რამდენად აუცილებელია აღნიშნული მიზნის მისაღწევად ვიდეოთვალთვალი;*
- *გამოიყენოს დაცული ვიდეოსათვალთვალო სისტემები;*
- *განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო სისტემის ტექნიკური მახასიათებლები, ვიდეოკამერების რაოდენობა, ვიდეოკამერების განთავსების ადგილები და ხედვის არეალი;*

---

[41] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.*
[42] *František Ryneš v. Úřad pro ochranu osobnřch údajů, 11/12/2014, № C-212/13.*

- *განსაზღვროს ვიდეოთვალთვალის პერიოდი და ჩანაწერების შენახვის ვადა;*
- *გააფრთხილოს მეზობლები და მომიჯნავედ მცხოვრები პირები, თუ ვიდეოსათვალთვალო სისტემის ხედვის არეალში ექცევა მათი საკუთრება (შესასვლელი, ფანჯარა, აივანი) და გაითვალისწინოს მათი მოსაზრება;*
- *გაიაროს კონსულტაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან.*

საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალი კანონიერია თუ:		
ვიდეოთვალთვალი ხორციელდება კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად	• პირის უსაფრთხოების დაცვა; • ქონების უსაფრთხოების დაცვა.	✓
ვიდეოთვალთვალის შესახებ ინფორმირებულნი არიან მეზობლები და სხვა ბინის მესაკუთრეები	მოპოვებულია შენობის მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობა, თუ საცხოვრებელ შენობას ჰყავს რამდენიმე მესაკუთრე.	✓
ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი და ამ ფორმით ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტი	• ნიშანი განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილზე; • სასურველია, ნიშანი შეიცავდეს მონაცემს, თუ ვინ ახორციელებს ვიდეოთვალთვალს; • ნიშანზე არსებული წარწერა უნდა იყოს აღქმადი და გათვალისწინებული იყოს იმ პირთა უმრავლესობის სასაუბრო ენა, რომლებიც ექცევიან მონიტორინგის ქვეშ.	✓
განსაზღვრულია ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა	• განსაზღვრულია შენახვის გონივრული და ვიდეოჩანაწერების მიზნის (საჭიროების) ადეკვატური ვადა; • უზრუნველყოფილია ვიდეოჩანაწერების წაშლა შენახვის ვადის გასვლისთანავე.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა უსაფრთხოება	• უზრუნველყოფილია ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება; • ჩანაწერებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით; • აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (ვინ და როდის	

	დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი).	✓
ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემისას დაცულია კანონი	○ ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემა წარმოებს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში; ○ აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემის ყველა შემთხვევა.	✓
ვიდეოთვალთვალის უფლებამოსილი პირის მეშვეობით განხორციელებისას დაცულია კანონის მოთხოვნები	○ უფლებამოსილ პირთან გაფორმებულია წერილობითი ხელშეკრულება; ○ ხელშეკრულებაში გაწერილია დავალების/მომსახურების შინაარსი და მონაცემთა უსაფრთხოებისთვის უფლებამოსილი პირის მიერ მისაღები ზომები; ○ მონაცემთა დამმუშავებელი რეგულარულ მონიტორინგს უწევს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს.	✓
უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზება	უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის შემდეგი უფლებების რეალიზება: ○ ვიდეოჩანაწერის ასლის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის წაშლის, დაბლოკვის და გასწორების მოთხოვნის უფლება; ○ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; ○ ვიდეოჩანაწერის სხვისთვის გადაცემის (საფუძვლის, მიზნის) შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.	✓

1. ვიდეოთვალთვალის მიზნები და დასაშვები შემთხვევები

მოქმედი კანონმდებლობა არეგულირებს საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის წესს.[43] მონაცემთა დამმუშავებელმა საცხოვრებელი შენობის ვიდეოთვალთვალი უნდა განახორციელოს ისე, რომ საცხოვრებელი შენობის თანამესაკუთრეებმა შეძლონ საკუთარი საცხოვრებელი სივრცით თავისუფლად სარგებლობა.

[43] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-13 მუხლი.*

საცხოვრებელ შენობაში ვიდეოსათვალთვალო სისტემის დაყენება დასაშვებია შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- *პირის უსაფრთხოების დაცვა;*
- *ქონების უსაფრთხოების დაცვა.*

თუ საცხოვრებელ შენობას ჰყავს რამდენიმე მესაკუთრე, ვიდეოსათვალთვალო სისტემის დასაყენებლად აუცილებელია ამ შენობის მესაკუთრეთა (და არა - საცხოვრებელ შენობაში მცხოვრებ პირთა) ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობა.[44] ვიდეოსათვალთვალო სისტემის დაყენების შესახებ კი უნდა ეცნობოს შენობაში მცხოვრებ პირებს.

საცხოვრებელ შენობაში დაყენებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შესასვლელისა და საერთო სივრცის მონიტორინგი.

მაგალითად, საცხოვრებელ შენობაში დაყენებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს საცხოვრებელი შენობის სადარბაზოს, სხვენის, ავტოსადგომისა და სხვა საერთო სარგებლობის სივრცეების მონიტორინგი.

სხვა მესაკუთრეთა ბინების მონიტორინგი დაუშვებელია!

კონკრეტული ბინის შესასვლელის ვიდეოთვალთვალი დასაშვებია მხოლოდ ამ ბინის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ან მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ვიდეოსათვალთვალო სისტემა უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ მისი ხედვის არეალში არ მოექცეს მომიჯნავედ მცხოვრები პირის ბინის შესასვლელი.

მნიშვნელოვანია, რომ საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის პროცესში მონაცემები დამუშავდეს მხოლოდ მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოცულობით და ასეთ ადგილებში, როგორც წესი, ნაკლებად არის აუდიოჩაწერის გზით მონაცემების დამუშავების საჭიროება.

2. ვიდეოთვალთვალის შესახებ გაფრთხილება

საცხოვრებელ შენობაში ვიდეოსათვალთვალოს სისტემის ხედვის არეალში შეიძლება მოექცეს როგორც ამ შენობაში მცხოვრები, ისე ვიზიტორი პირები. ამდენად,

[44] *შენობის მესაკუთრეთა წერილობითი თანხმობის ნიმუში მოცემულია ამავე დოკუმენტის დანართში, დანართი №2.*

მნიშვნელოვანია, ყველა იმ პირის სათანადოდ ინფორმირება, ვინც შეიძლება მოხვდეს ვიდეოთვალთვალს დაქვემდებარებულ სივრცეში.

ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განთავსოს ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი!

გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების ადგილი და მასზე მითითებული წარწერა შესაბამისი გამოსახულებით აღქმადი უნდა იყოს იმ სივრცეში მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანისათვის. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტი ითვლება მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად.

წესები, რომლებიც უნდა იყოს დაცული საცხოვრებელ შენობებში ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსებისას:

- *გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების ადგილი უნდა იყოს თვალსაჩინო შენობის შესაბამის სივრცეში მოხვედრილი ნებისმიერი პირისთვის. ნიშნები თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს ყველა იმ სივრცეში (მაგალითად, სადარბაზო, სხვენი, ავტოსადგომი), სადაც უშუალოდ მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი;*
- *გამაფრთხილებელი ნიშანზე არსებული წარწერა მიზანშეწონილია შეიცავდეს ინფორმაციას ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის შესახებ;*
- *გამაფრთხილებელი ნიშანზე უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია მონიტორინგის მასშტაბის (მაგალითად, 24 საათიან რეჟიმში) თაობაზე;*
- *გამაფრთხილებელი ნიშანზე არსებული წარწერა უნდა იყოს აღქმადი (მაგალითად, გასათვალისწინებელია წარწერის ზომა, ფერი, განთავსების ადგილი);*
- *ინფორმაცია გამაფრთხილებელ ნიშანზე შეიძლება გამოიხატოს ტექსტის ან/და სიმბოლოების სახით. ტექსტის გამოყენების შემთხვევაში გასათვალისწინებელია იმ პირთა უმრავლესობის სასაუბრო ენა, რომლებიც ხვდებიან საცხოვრებელ ბინაში და ექცევიან მონიტორინგის ქვეშ. შესაძლებელია რამდენიმე ენის გამოყენებაც;*
- *გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა განთავსდეს კამერის სიახლოვეს.*

გამაფრთხილებლი ნიშნის ნიმუშები:

აღსანიშნავია, რომ არც თუ იშვიათად, ფიზიკური პირები საცხოვრებელ შენობებში ვიდეოსათვალთვალო კამერებს ანთავსებენ ფიქციურად, ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის გარეშე, რასაც შეცდომაში შეჰყავს მოქალაქეები და მცდარ წარმოდგენას უქმნის მათი მონაცემების დამუშავებაზე. მონაცემთა სუბიექტების შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, მსგავსი ვიდეოსათვალთვალო კამერები არ განთავსდეს.

3. ვიდეოთვალთვალი უფლებამოსილი პირის მეშვეობით

საცხოვრებელი შენობის მესაკუთრემ ვიდეოთვალთვალის განსახორციელებლად, შესაძლებელია, ისარგებლოს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მომსახურებით. მაგალითად, ფიზიკურმა პირმა შესაძლოა, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, დაიქირავოს კომპანია ვიდეოსათვალთვალო სისტემის დამონტაჟების, მისი ტექნიკური გამართვის, სისტემის ადმინისტრირების და ა. შ. მიზნით. ასევე, შესაძლებელია საცხოვრებელი შენობის მესაკუთრემ, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, დაქირავებული კომპანიის სერვერზე შეინახოს ვიდეოჩანაწერები. ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, კონტრაქტორი კომპანია გვევლინება უფლებამოსილ პირად, რომელიც მონაცემებს ამუშავებს მონაცემთა დამმუშავებლისთვის ან მისი სახელით.

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი წესები:[45]

- *მონაცემების დამუშავების შესახებ მხარეებს შორის უნდა დაიდოს წერილობითი ხელშეკრულება;*

[45] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-16 მუხლი.*

- *უფლებამოსილ პირთან დადებულ ხელშეკრულებაში ნათლად უნდა გაიწეროს რას მოიცავს დავალება/მომსახურება, მათ შორის, ვინ უზრუნველყოფს ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, სისტემის ადმინისტრირებას, ვიდეოჩანაწერებზე წვდომას, წვდომაზე უფლებამოსილი პირების რეგისტრაციას და მათ მონიტორინგს. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს მონაცემთა უსაფრთხოებისთვის უფლებამოსილი პირის მიერ ზომების მიღების ვალდებულება;*
- *მონაცემთა დამმუშავებელმა რეგულარული მონიტორინგი უნდა გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს.*

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა დამმუშავებელს (საცხოვრებელის ბინის მესაკუთრეს) არ ათავისუფლებს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისგან. პირიქით, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თვალყური ადევნოს, მისი სახელით, უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს, რათა დარწმუნდეს, რომ მონაცემთა დამუშავება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და მონაცემთა უსაფრთხოება დაცულია არაუფლებამოსილ პირთა ხელყოფისაგან.

- ***დაუშვებელია*** მონაცემთა დამუშავების შესახებ უფლებამოსილ პირთან ხელშეკრულების დადება, თუ არსებობს ამ უკანასკნელის მხრიდან მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების საფრთხე.

> ***მაგალითად,*** *ფიზიკურმა პირმა (ბინის მესაკუთრემ) არ უნდა დადოს ხელშეკრულება იმ უფლებამოსილ პირთან, რომელმაც წარსულში არაერთხელ დაარღვია მონაცემთა დამუშავების წესები ან/და ხელშეკრულების პირობები. ასევე, არ უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება ისეთ უფლებამოსილი პირთან, რომელსაც მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად არ აქვს მიღებული შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.*

- ***დაუშვებელია*** უფლებამოსილი პირის მიერ, ხელშეკრულებით დადგენილი, ფარგლებისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავება.

> ***მაგალითად,*** *თუ უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა ვიდეოთვალთვალის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მას მხოლოდ ამ მიზნით აქვს მინიჭებული მონაცემებზე წვდომა, უფლებამოსილ პირს არა აქვს უფლება დაათვალიეროს კონკრეტულ პირთა გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერები.*

- *დაუშვებელია* უფლებამოსილი პირის მიერ, მონაცემთა დამმუშავებლის (ბინის მესაკუთრის) თანხმობის გარეშე, მონაცემთა დამუშავების უფლების სხვა პირისთვის გადაცემა.

უფლებამოსილ პირსა და მონაცემთა დამმუშავებელს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მის ხელთ არსებული მონაცემები გადასცეს მონაცემთა დამმუშავებელს.

4. ვიდეოჩანაწერების შენახვა

მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი პრინციპია მონაცემების გონივრული ვადით შენახვა. სამწუხაროდ, ხშირად ეს საკითხი არ არის დარეგულირებული ფიზიკური პირების მიერ და სისტემის მოცულობის გათვალისწინებით, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ არსებული ვიდეოჩანაწერები ავტომატურად იშლება და ახალი ჩანაწერები ანაცვლებს ძველს. მსგავსი პრაქტიკა არ შეესაბამება კანონმდებლობას.

საცხოვრებელი შენობის მესაკუთრემ წინასწარ უნდა განისაზღვროს ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა და აღნიშნული ვადის გასვლისთანავე უნდა უზრუნველყოს მათი წაშლა!

ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა უნდა განისაზღვროს იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზანს ემსახურება ვიდეოთვალთვალი და ამ მიზნის მისაღწევად რამდენი ხანი შეიძლება იყოს საჭირო ვიდეოჩანაწერების შენახვა.

ვიდეოჩანაწერები შენახული უნდა იყოს უსაფრთხოდ, ისე რომ შეუძლებელი იყოს არაუფლებამოსილ პირთა მხრიდან მათზე წვდომა - მათი დათვალიერება, გადმოწერა, წაშლა, არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და ა.შ.

5. ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოება

ვიდეოთვალთვალის დროს მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება პასუხისმგებლობა მონაცემთა უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის მიერ, ვიდეოთვალთვალის სისტემაში შენახული პერსონალური მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოებისთვის, მიღებულ უნდა იქნეს ქმედითი და ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩანაწერებში ასახული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნება, მათი არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და სხვა.

მონაცემთა დამმუშავებლებმა (საცხოვრებელი შენობის მესაკუთრემ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით:

- *უნდა უზრუნველყონ ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება. კერძოდ, ვიდეოთვალთვალის სისტემა, მისი ტექნიკური აღჭურვილობა (DVR მოწყობილობა, მონიტორები და სხვა) უნდა განათავსოს დაცულ ადგილზე;*
- *ჩანაწერებზე წვდომა მიანიჭონ კონკრეტულს პირ(ებ)ს და მათი სისტემაზე დაშვება განახორციელონ მხოლოდ მათზე განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და ინდივიდუალური პროლის საშუალებით. დაუშვებელია ჩანაწერებზე წვდომა ერთი და იგივე მომხმარებლის სახელითა და პროლით ჰქონდეს 1-ზე მეტ პირს;*
- *აღრიცხონ ვიდეოთვალთვალის სისტემებში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მონაცემთა მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება. კერძოდ, ელექტრონულად სრულად უნდა აღრიცხონ (ე. წ. „ლოგირება“) ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი.*

6. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გამჟღავნება

საცხოვრებელი შენობის მესაკუთრის მიერ შენახულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა, მათი დათვალიერება და რიგ შემთხვევებში, მესამე პირებისთვის გადაცემა შეიძლება გახდეს საჭირო სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, თუ არსებობს ეჭვი, რომ ვიდეოჩანაწერზე ასახულია დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტი, მისი დათვალიერების ინტერესი უჩნდება საქმის მწარმოებელ ორგანოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების მიზნებისთვის.

საცხოვრებელი შენობის მესაკუთრე, რომელიც აწარმოებს ვიდეოთვალთვალს, ვალდებულია ჩანაწერების დათვალიერება და მესამე პირისთვის (მათ შორის, პოლიციისთვის) გამჟღავნება განახორციელოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით.[46]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ვიდეოჩანაწერის მოპოვებისა და გამჟღავნებისთვის კანონმდებლობით დადგენილია მაღალი სტანდარტი.[47]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ჩანაწერების საგამოძიებო ორგანოსთვის გამჟღავნებისას ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

---

[46] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი.*
[47] *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 136-ე მუხლი.*

- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერის გადაცემა, თუ მან არ წარმოადგინა სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერების გადასაცემად არ არის საკმარისი მათი ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნა;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის ჩანაწერის დათვალიერების უფლების მიცემა, თუ მან არ წარმოადგინა სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება ჩანაწერის დათვალიერების თაობაზე;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის იმ ჩანაწერის გადაცემა, რომელიც არ არის მითითებული სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის დადგენილებაში. შესაბამისად, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირი (საცხოვრებელი შენობის მესაკუთრე) უნდა დარწმუნდეს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს გადასცემს აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული პერიოდის ჩანაწერს და გადაცემული ჩანაწერის ხანგრძლივობა არ აჭარბებს განჩინებით/დადგენილებით განსაზღვრულ პერიოდს;
- ***დაუშვებელია*** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირმა (საცხოვრებელი შენობის მესაკუთრემ) მიანიჭოს იმ პერიოდის ჩანაწერების დათვალიერებისა და გადახვევის უფლება, რაც არ არის მითითებული სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის დადგენილებაში. ასევე, დაუშვებელია ამ ჩანაწერებიდან კონკრეტული გამოსახულების ამსახველი მონაკვეთების ფოტოგადაღება ან/და ვიდეოგადაღება მობილური ტელეფონისა თუ სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში ვიდეოჩანაწერის მოპოვებისა და გამჟღავნებისათვის კანონმდებლობით არ არის დადგენილი ისეთივე მაღალი სტანდარტი, როგორც სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს.[48]

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს ჩანაწერების მოპოვების წესისაგან განსხვავებით, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირმა (საცხოვრებელი შენობის მესაკუთრემ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დროს, ჩანაწერები შესაძლოა გასცეს ადმინისტრაციული (მათ შორის, სამართალდამცავი) ორგანოს წარმომადგენელს წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში ჩანაწერების ადმინისტრაციული (მათ შორის, საგამოძიებო) ორგანოსთვის გამჟღავნებისას ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირმა (საცხოვრებელი შენობის მესაკუთრემ) უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

---

[48] *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 236-ე მუხლი.*

- *ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩანაწერის გამოთხოვის შესახებ წარდგენილი უნდა იყოს ოფიციალური წერილობითი მიმართვა, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით;*
- *ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერის გამოთხოვის სამართლებრივი საფუძველი (მიზეზი, მიზანი) და ინფორმაცია ჩანაწერის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში მტკიცებულებად საჭიროების თაობაზე;*
- *ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერის საჭირო პერიოდი.*

კანონმდებლობა მონაცემთა დამმუშავებელს (საცხოვრებელი შენობის მესაკუთრეს) ავალდებულებს მონაცემთა გამჟღავნების ყველა შემთხვევის აღრიცხვას. ამ მიზნით, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირმა (საცხოვრებელი შენობის მესაკუთრემ) ჩანაწერების გამჟღავნებისას უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

- *რომელი ჩანაწერის გამჟღავნება მოხდა. კერძოდ, ვიდეოჩანაწერების გაცემისას უნდა აღირიცხოს რომელ თარიღში გადაღებული და რა პერიოდის ამსახველი ჩანაწერის გამჟღავნება განხორციელდა (მაგალითად, 2021 წლის 10:00 საათიდან 13:00 საათამდე, № ... კამერის ჩანაწერი);*
- *ვისთვის მოხდა ჩანაწერის გამჟღავნება (მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს შემთხვევაში უნდა მიეთითოს აღნიშნული უწყების სახელი დეტალურად - შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეხუთე განყოფილება, გამომძიებელი პეტრე პავლიაშვილი);*
- *ჩანაწერის გამჟღავნების თარიღი;*
- *ჩანაწერის გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 ან/და მე-6 მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტი (მაგალითად, ჩანაწერის გადაცემა მოხდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად).*

7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

კანონი მონაცემთა დამმუშავებელს (საცხოვრებელი შენობის მესაკუთრეს) უწესებს სპეციალურ ვალდებულებას საცხოვრებელ შენობაში მცხოვრები პირების მიმართ. კერძოდ, მონაცემთა დამმუშავებელმა ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენების შესახებ უნდა აცნობოს შენობაში მცხოვრებ პირებს.[49]

---

[49] *შენობაში მცხოვრები პირების ინფორმირების ნიმუში მოცემულია ამავე დოკუმენტის დანართში, დანართი №3.*

ყველა პირი, რომელიც დაექვემდებარა საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალს, უფლებამოსილია:

- *გამოითხოვოს შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ასლი;*
- *მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა და გასწორება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის დარღვევით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვინ ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მოითხოვოს ინფორმაცია - ვის გადაეცა მის შესახებ ჩანაწერი, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;*
- *მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.*

ზემოჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.[50]

[50] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 24-ე მუხლი.*

დანართი №1

დასაქმებულის ინფორმირება სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მისი უფლებების შესახებ

გაცნობებთ, რომ ---------- (მიუთითეთ დაწესებულების დასახელება და შენობის მისამართი) მდებარე თქვენ სამუშაო ოთახში, 24 საათიან რეჟიმში, მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი ამავე ოთახში არსებული საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

თქვენ სარგებლობთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებით. კერძოდ, უფლება გაქვთ:

- მოითხოვოთ ვიდეოჩანაწერის ასლი;
- მოითხოვოთ ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა და გასწორება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება არ განხორციელებულა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- ნებისმიერ დროს ხელახლა მოითხოვოთ ინფორმაცია ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის მიზნის და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;
- მოითხოვოთ ინფორმაცია, თუ ვის გადაეცა თქვენ შესახებ ვიდეოჩანაწერი, რა მიზნითა და რა საფუძვლით;
- თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

დასაქმებულის ხელმოწერა:

/სახელი, გვარი/

თარიღი:

დანართი №2

საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის შესახებ შენობის მესაკუთრის თანხმობა

აღნიშნულ დოკუმენტზე ხელის მოწერით მე ----------(მიუთითეთ სახელი, გვარი, პირადი ნომერი), როგორც საცხოვრებელი სახლის ---------- (მიუთითეთ სახლის ზუსტი მისამართი, ბინის ნომერი) მესაკუთრე, ვაცხადებ თანხმობას, რათა ---------- (მიუთითეთ ზუსტი მისამართი) მდებარე საცხოვრებელი შენობის შესასვლელსა და საერთო სივრცეში, პირისა და ქონების უსაფრთხოების მიზნებისათვის, 24 საათიან რეჟიმში, განხორციელდეს ვიდეომონიტორინგი.

დოკუმენტზე ხელის მოწერით ასევე ვადასტურებ, რომ ინფორმირებული ვარ ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნებზე.

მესაკუთრის ხელმოწერა:

/სახელი, გვარი/

თარიღი:

დანართი №3

გაფრთხილება საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ

გაცნობებთ, რომ ----------(მიუთითეთ ზუსტი მისამართი) მდებარე საცხოვრებელი შენობის შესასვლელსა და საერთო სივრცეში, 24 საათიან რეჟიმში, მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი, ამავე საცხოვრებელ შენობაში მყოფი პირებისა და ქონების უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებას ახორციელებს ---------- (მიუთითეთ შესაბამისი პირის სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი).

თქვენ სარგებლობთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებით. კერძოდ, უფლება გაქვთ:

- მოითხოვოთ თქვენი მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერის ასლი;
- მოითხოვოთ თქვენი მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა და გასწორება თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება არ განხორციელებულა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- ნებისმიერ დროს ხელახლა მოითხოვოთ ინფორმაცია ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის მიზნის და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;
- მოითხოვოთ ინფორმაცია თუ ვის გადაეცა თქვენ შესახებ ვიდეოჩანაწერი, რა მიზნითა და რა საფუძვლით;
- თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

ტელ: (+995 32) 242 1000

E-mail: office@stateinspector.ge

საქართველო, თბილისი, ნ.ვაჩნაძის N°7, 0105

ვებ გვერდი: sis.gov.ge